გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 15 აპრილი, 2005 წელი.
№87 (5120)

იმისთანა წმინდა საქმეში, ტოგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ სამკუთხა ბარათის ნახმევი

## სამოცი წლის შემდეგ დამარცხებული გამარჯვება,

### ანუ ჯარისკაცური წერილი 1942 წელს დაღუპულ მამაჩემს, მაშინ 30 წლის ჯარისკაცს



**ახლახან** შენი ნაყიდი ძველი კარადის უკვე კარგა გვარიანად დაშლილ-დაფუცუნებულ უჯრას ვალაგებდი და სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში გადაღებულ გაყვითლებულ სურათებთან ერთად შენს სამკუთხა ბარათსაც წავაწყდი, ჩრდილოეთ კავკასიიდანვე გამოგზავნილს, დროისგან კარადის უჯრასავით დაშლილსა და დაფუცუნებულს. მივაბ-მოვაბი ერთმანეთს სიმკვრივედაკარგული ქაღალდის დაქიაქებული ნაწილები, ახალი თაბახის ფურცელზე მივაწებ-მოვაწებე და სამოცდასამი წლის წინათ აქეთ-იქით გაქცეულ-გამოქცეულ ასოებში (იქნებ სულაც ფეხზე დგომელა წერდი) „ჩაწნეხილი" შენი ხმა „შემომესმა". დედაჩემს სწერ:

*„ჩემზე არ იჯავროთ... ამას წინათ ერთ ისეთ ამბავს გადავურჩი, მგონი, არაფერი აღარ უნდა მომივიდეს. ვატყობ, ღმერთი არ გამწირავს. ჯარისკაცები ერთი რომელიღაც აქაური სოფლის აღმართიან ორღობეს მივდევდით. ბერასავით ვიწრო ორღობე იყო, უსაშველოდ გრძელი, წინ საბარგო მანქანა მიდიოდა. ზედ უშველებელი რკინის კასრი იდო, არ ვიცი, ზეთისა თუ ბენზინისა. მანქანა შორს, წინ მიდიოდა. მე თითქმის ორღობის ბოლოში ვიყავი. უცაბედად კასრმა მანქანის ძარა გადმოგლიჯა და დაგორდა. დაღმართზე რა დაიჭერდა! ვერც მარცხნივ გაიქცეოდი, ვერც მარჯვნივ. ვინც წინ იყო, საწყლებს სულ მიწასთან ასწორებდა. ერთი გაფიქრება კი გავიფიქრე, ვაიმე, დავიღუპე-მეთქი, და უეცრად ორმოში აღმოვჩნდი. თურმე ჩემ წინ კარგა ღრმა ორმო ყოფილიყო. ჩემი ორმოში ჩავარდნა და იმ გვარიანად ციცაბო დაღმართზე დაგორებული კასრის ზედ გადავლა ერთი იყო. ჩემ მერეც რამდენიმე ბიჭი დაიტანა და ქვევით, სადღაც ხევში ჩაიკარგა. ისეთი ჯოჯოხეთის შემსწრე გავხდი, ნეტავი, იმ ოხერ კასრს მეც გადავევლე-მეთქი, გავივლე გულში, მაგრამ ხომ იცი, სული ტკბილია. თუმცა, ამისთანა რამ ამბავი ღმერთის ჩაურევლად არა ხდება. რახან ეხლა გადამარჩინა, ალბათ ომის ბოლომდეც მიმიყვანს. ომს კი რაღაც მალე დამთავრების პირი არ უჩანს. არა მგონია, იმ მამაძაღლებულმა ჰიტლერმა ამ ჩვენს გორელს აჯობოს. ვნახოთ, რა იქნება. მთავარია, ბავშვებს მიხედო. ვიცი, ბევრი არაფერი დაგიტოვეთ, მაგრამ თუ რამ ხელში მოგხვდეს, ყველაფერი გაყიდე და ბავშვები არ მოამშიო. ემანდ ხელი არაფერზე წაუცდეთ და არ დავიღუპოთ. ვიცი შენი სიყოჩაღის ამბავი და ღმერთმა რახან მე გადამარჩინა, ალბათ არც თქვენ გაგწირავთ. ყველანი დამიკოცნე. მომიკითხე..."*

იხ. მე-3 გვ.

◎ ინფორმაცია

### ვინ იქნება ნატოში საქართველოს ელჩი?

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი შესაძლოა, უახლოეს მომავალში ნატოში საქართველოს ელჩად დაინიშნოს.

როგორც „ინტერ-პრესს" სარწმუნო წყარომ აცნობა, სახელისუფლებო წრეებში აქტიურად განიხილება აღნიშნულ თანამდებობაზე სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრიუსელში ვიზიტისას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ნატოში საქართველოს ელჩი დავით დონდუა ვადამდე გამოიწვიეს.

### ტერი დევისი შეხვედრებს განაგრძობს

საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი დღეს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას შეხვდება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები განიხილება. ტერი დევისთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ევროსაბჭოს წარმომადგენლები იგორ გაონი, ჟან ლუი ლორანი და ივან კოეჯიკოვი.

ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, მაჰმადიანი მესხები თავის ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში



2016 წლამდე უნდა დაბრუნდნენ. მაჰმადიან მესხთა საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის 2 მარტის განკარგულებით შექმნილია სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს.

### აფხაზები საშტაბო-სამეთაურო სწავლებას მართავენ

18-21 აპრილს აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ფართომასშტაბიანი საშტაბო-სამეთაურო სწავლება გაიმართება, არტილერიის, ფლოტის, სატანკო ქვედანაყოფებისა და ავიაციის მონაწილეობით.

სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის სულტან სოსნალიევის განცხადებით, გეგმიური სწავლება მიზნად ისახავს აფხაზეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას და სრულყოფას.

მისივე ინფორმაციით, სწავლება სოხუმის რაიონში გაიმართება.

ინტერ-პრესი.

◎ დღის თემა

## მწარე სიმართლე სჯობია მოჩვენებით სიმშვიდეს



ვარდების რევოლუციის შემდეგ მასმედიას ადრინდელივით ხელი იოლად აღარ მიუწვდება ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის მაჩვენებლებზე. აშკარად გამოითქმის საყვედური სამართალდამცავი სტრუქტურების კარჩაკეტილობაზე, დანაშაულის ზრდის მიფუჩეჩებაზე, ციხეების გადატვირთვაზე და სხვა და სხვა.

ერთი ნაღდია: რევოლუციის კი არა, ნებისმიერი გავლენიანი ფიგურის შეცვლას ნებისმიერ ქვეყანაში მოსდევს დაპატიმრებათა ტალღის აგორებაც და საერთო სიტუაციის დაძაბვაც. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ჩვენი ხელისუფლებაც და თითოეული სამართალდამცავი სტრუქტურაც 2003 წლის ნოემბრის უსისხლო გადატრიალების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა ჯერ ამ მთვლემარე სამართალდამცავი სტრუქტურების გამოფხიზლებას, გაწმენდას, მერე კი კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღებას, შავი სამყაროს წარმომადგენლებთან უშეღავათო შებმას.

იხ. მე-2 გვ.

◎ ფაქტი

## პრეზიდენტმა პარლამენტს საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს სია წარუდგინა

**საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს საზოგადოებრივი ტელევიზიის 9-კაციანი სამეურვეო საბჭოს შესარჩევად 18-კაციანი სია წარუდგინა. ამის შესახებ დღეს სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა განაცხადა.**

მისი განმარტებით, პრეზიდენტმა პარლამენტს ის კანდიდატურები წარუდგინა, რომლებიც პოლიტიკურად ნეიტრალურები არიან და მრავალმხრივი მოღვაწეობის გამოცდილება გააჩნიათ.

პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ 18-კაციან სიაში შედიან **ნინო ანანიაშვილი, ვახტანგ-გიორგი ბაბუნაშვილი, ანა დოლიძე, ფრიდონ თოდუა, ხათუნა ტყეშელაშვილი, მაია მიქაშავიძე, ალექსანდრე რონდელი, გია ნოდია, ლევან თარხნიშვილი, თამუნა კინწურაშვილი, ნიკოლოზ ყაველაშვილი, თამარ შამილი, მანანა სანაძე, ლინა პანტელეევა, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ჭირაქაძე, მამუკა ხერხეულიძე და გიორგი ხუბუა.**

„მაუწყებლობის შესახებ" კანონის 25-ე და 75-ე მუხლების შესაბამისად, პრეზიდენტმა ორჯერ მეტი რაოდენობა უნდა წარუდგინოს პარლამენტს სამეურვეო საბჭოში.

პარლამენტის მიერ სამეურვეო საბჭოს 9-კაციანი შემადგენლობის შერჩევის შემდეგ, მათ პრეზიდენტი ამტკიცებს. ტელევიზიის გენერალური დირექტორის ვინაობა სავარაუდოდ ერთ თვეში გაირკვევა.

დღესვე პრეზიდენტმა პარლამენტს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ორ ვაკანტურ ადგილზე ოთხი კანდიდატურა შესთავაზა. წარდგენილებს შორის არიან **ბონდო ალასანია, ზურაბ ნონიკაშვილი, სერგო შავგულიძე და ანა ნაკაშიძე.**

ინტერ-პრესი.

◎ უცხოური პრესიდან

## უდანაშაულო დამნაშავენი

ირინე ბარამიძე, მეჯმან გაფარლი, „ნოვიე იზვესტია", 14 აპრილი.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სამშაბათს ნაწილობრივ დააკმაყოფილა „საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ შამაევისა და სხვათა მიერ აღძრული" სარჩელი.**

საქმე ეხება იმ 13 ჩეჩენს, რომლებიც 2002 წლის აგვისტოში დააკავეს ქართველმა მესაზღვრეებმა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. იმავე წლის 4 ოქტომბერს თბილისმა 5 კაცი გადასცა მოსკოვს. მოგვიანებით, ორ მათგანს მიუსაჯეს ხანგრძლივი ვადით პატიმრობა იმის გამო, რომ, როგორც მართლმსაჯულება ამტკიცებდა, ისინი იყვნენ ჩეჩნეთში მოქმედი „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები". დანარჩენ პირთა ბრალეულობა ვერ დაამტკიცეს. და მაინც, რუსეთი კვლავ მოითხოვდა, რომ საქართველოს მისთვის გადაეცა ყველა დაკავებული. ხანგრძლივი დავის შემდეგ, საქართველოს გენერალური პროკურატურა დათანხმდა კიდევ სამი კაცის ექსტრადირებას. მაგრამ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დაქინებული მოთხოვნით, გააუქმა ეს გადაწყვეტილება. დანარჩენი ჩეჩნები, რომლებმაც საქართველოს საპყრობილეში 9 თვე დაჰყვეს, გაათავისუფლეს. თანაც, მოგვიანებით, ყველა ამ ადამიანის მიმართ გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი. მაგრამ საქმე არც ამით დასრულებულა და იგი გადაეცა ევროპის სასამართლოში.



სტრასბურგის სასამართლოს აზრით, რუსეთმა და საქართველომ დაარღვიეს დაკავებულთა მიმართ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მთელი რიგი დებულებები, ამიტომაც, მან დააკისრა საქართველოს მთავრობას გადაეხადა 80,5 ათასი ევრო კომპენსაციის სახით 13 ჩეჩენისთვის (2,5 ათასიდან — 11 ათასამდე თითოეულისთვის) და 4 ათასი ევრო — სასამართლო ხარჯების დასაფარავად. რუსეთმა უნდა გადაიხადოს 42 ათასი ევრო კომპენსაციის სახით (7 მოსარჩელეს 6-6 ათასი ევრო), 12 ათასი ევრო სასამართლო ხარჯებისთვის და კიდევ 1580 ევრო — უშუალოდ სასამართლოს. ამ თანხების გადახდის შეფერხების შემთხვევაში, ვადა კი სამ თვეში ამოიწურება, გადასახდელი ფულის ოდენობა გაორმაგდება.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისთვის ელენე თევდორაძისთვის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. „ჯერ კიდევ მაშინ, როცა დაკავებული პირები გადასცეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მე ვაცხადებდი, რომ ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და მას არ გააჩნდა არანაირი სამართლებრივი ბაზა. მაშინ ჩვენს სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება პანკისის ხეობის გამო ძალზე დიდი იყო და გადაწყვეტილებას ჩეჩენთა ექსტრადიციის შესახებ, როგორღაც უნდა შეერბილებინა სიტუაცია. რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტები ნამდვილად არ იყო სრულყოფილი, ისინი დაკავებულთა იდენტიფიკაციასაც კი ვერ ასახავდნენ. მე პირადად ვნახე ეს — ქსეროასლებზე კარგად არ ჩანდა დაკავებულთა სახეები", — განაცხადა ელენე თევდორაძემ „ნოვიე იზვესტიასთვის" მიცემულ ინტერვიუში. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთავრობა უთუოდ გადაიხდის კომპენსაციას. „ასეთი პრეცედენტი უკვე გვქონდა — „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ჩვენ უფრო მეტი თანხაც კი გადავუხადეთ თენგიზ ასანიძეს (155 ათასი ევრო), ადამიანს, რომელიც უკანონოდ იყო მსჯავრდადებული აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის მიერ, — განმარტა ელენე თევდორაძემ.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

## მელს ბდოიანის კარიერა, ანუ ოქროს ლურსმანი

### თუ „ტყოჩალებ", დღეს ოსტაპ ბენდერსაც ჯიბეში ჩაისვამ

**ჟურნალისტური გამოძიების ეროვნული სააგენტო, რომლის წევრთა პუბლიკაციასაც დღეს გთავაზობთ, საქმიანობას 2004 წლის აგვისტოდან ეწევა. ამ დამოუკიდებელი არასამთავრობო კავშირის დამფუძნებლები არიან პროფესიონალი ჟურნალისტები და იურისტები — ამირან მგელაძე, თენგიზ ჩხიკვაძე, ვაჟა კელეურიძე და ლევან აპრესოვი. ქვემოთ გამოქვეყნებული მასალა მიმდინარე წელს სააგენტოს მიერ გამოკვლევის პირველ სტადიაზე მომზადებული პუბლიკაციაა. საბოლოო შედეგებს კი უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ.**

შარშან, სექტემბერში უსიტყვოდ გამოეთხოვა სახელისუფლებო თანამდებობას ნინოწმინდის რაიონის გამგებელი რ. არზუმანიანი, თანაც თავად ითხოვა გადადგომა. ქვეყნის პრეზიდენტმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა. გამგეობის დანარჩენ წევრებს არ მიუბაძავთ ყოფილი უფროსისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონით. მათ აირჩიეს კანონით გათვალისწინებული მეორე ვარიანტი: თავიანთ თანამდებობებს წინ დაურთეს (მ. შ. მოვალეობის შემსრულებელი) და გამგეობის ახალი არჩევნების მოლოდინში განაგრძეს ყოველდღიური მოვალეობების შესრულება. იმავე კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გახდა გამგებლის პირველი მოადგილე რ. ნარიმანიძე.

მაგრამ სულ მალე გამოჩნდნენ ფხიანი ადამიანები, რომლებსაც მოეჩვენათ, რომ რაიონში ხელისუფლება უპატრონოდ იყო მიტოვებული. რაღაც ქარაფშუტულად და უმეთვალყურეოდ დაგდებული „მერსედესის" მსგავსად. მერე რა პრობლემაა? მიხვალ, მოარგებ გასაღებს, დაჯდები და დაძრავ ადგილიდან — „რას მიჰქრის!" — დაახლოებით ასე მოიქცნენ ხელისუფლების მიმტაცებლები ნინოწმინდაში. გააღეს და მოიკალათეს. „რას მიჰქრის!" თუმცა კი რა „მერსედესზეა" ლაპარაკი. წასული გამგებლის ნაცვამ პალტოს უფრო ჰგავდა, კარადაში დაკიდებულსა და დავიწყებულს. ამიტომაც, ფიქრით დიდად არ გაუცხელებიათ თავი. ხელისუფლების კარი ფიგურული გასაღებით კი არა, ჟანგიანი ლურსმნით გააღეს.

იხ. მე-3 გვ.

ინტერპანორამა

**კიევის სააპელაციო სასამართლომ უარყო ადვოკატ ანდრეი ფედურას სარჩელი დონეცკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ბორის კოლესნიკოვის განთავისუფლების შესახებ. სასამართლოს სხდომის დროს, გარეთ, შენობის პიკეტირებისას, 100-ზე მეტი ადამიანი გაიძახოდა: „უარი — პოლიტიკურ ტერორს!", „უკრაინა მაიდანი არ არის!"**



**აზიაში, ორი ავიალაინერის ბორტზე გაუთვალისწინებელი ინციდენტი მოხდა. ინდონეზიაში, დაშვებისას, თვითმფრინავს ერთი ბორბალი დაუზიანდა. ტრავმირებულია 11 ადამიანი. ქალაქ ყარაჩის აეროპორტში კი, ერთი ძრავის გამორთვის გამო, ავარიული დაშვება განახორციელა Boing-747-მა. სალონში 433 მგზავრი იყო.**



◉ პარლამენტის თავმჯდომარე

# ნინო ბურჯანაძის შეხვედრა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან

**პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისსა და ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებს შეხვდა. ამ შეხვედრას საქართველოს მხრიდან ევროსაბჭოში საქართველოს პარლამენტართა ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.** ტერი დევისი ნინო ბურჯანაძესთან საუბრისას იმ ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობით დაინტერესდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოსთან მიმართებით აღებული აქვს. მათ შორის არის ეთნიკური უმცირესობების საკითხი და ე.წ. თურქი-მესხების პრობლემა. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით ითქვა, რომ საქართველოს პარლამენტმა ამა წლის სექტემბრამდე ორი დოკუმენტი უნდა მიიღოს, ესენია: ეროვნულ უმცირესობათა უფლებების კონვენცია და ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ქარტია. ნინო ბურჯანაძის თქმით, ეს პროცესი უკვე დაწყებულია და საქართველოში მცხოვრები დიასპორების მონაწილეობით იქმნება წინასწარი კონცეფცია, რომელიც ეროვნულ უმცირესობათათვის აქტუალური საკითხების გათვალისწინებით შემუშავდება. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამ პროცესის დაწყება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და დაკანონების გზაზე ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებზეც ისაუბრეს, მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების კუთხით. აქვე ნინო ბურჯანაძემ ტერი დევისს ის მოსაზრებები და წინადადებები გააცნო, რომელიც, მისი აზრით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ საკითხზე სტრასბურგში გახმოვანებული გეგმის შესრულებას შეუწყობს ხელს.

ტერი დევისმა შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი კმაყოფილია ევროსაბჭოს მხრიდან საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობით. მისივე თქმით, ამ მხრივ, ბევრი რამ კიდევ კეთდება და მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის მზადყოფნა დათქმულ ვადაში მათი დასრულების თაობაზე. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხს, იმ სახის კონფლიქტი, რაც წარსულში მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს. საუბარი კონფლიქტის მოგვარების კონსტრუქციულ გზებსაც შეეხო, უპირველეს ყოვლისა, ხალხთა დაახლოებისა და ჰუმანიტარული მისიების განხორციელების მხრივ. ტერი დევისის აზრით, კონფლიქტის ჩაცხრობა არა მხოლოდ საქართველოს ინტერესებშია, ეს ყველა მხარეს უნდა აწყობდეს. მან, ევროსაბჭოს სახელით, სრული მზადყოფნა გამოთქვა, დახმარება გაუწიოს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რათა ჩვენი ქვეყანა რეალური დემოკრატიის მშენებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ვალდებულებების შესრულება აუცილებელია. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის პრობლემებიც, რომელიც ზოგიერთი ვალდებულების განხორციელებას თან ახლავს. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ისეთი გზა გამონახოს, რომ ეს პრობლემები მოიხსნას და არც ახალი წარმოიშვას. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღებული ვალდებულებების მოგვარებასთან დაკავშირებით, ორმხრივი კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება.

შეხვედრის დასასრულ, ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა.

**პარლამენტის პრესსამსახური.**



◉ დღის თემა

# მწარე სიმართლე სჯობია მოჩვენებით სიმშვიდეს

(პირველი გვერდიდან)

პრიორიტეტული მიმართულება, რასაც ეს ხელისუფლება ბოლო ხანს ამ სფეროში დაადგა, ეს გახლავთ სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა მორალური სახის განმტკიცება და მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა. გუშინ, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოინახულეს თბილისის პროკურატურის ახლად გარემონტებული შენობა, სადაც უკვე ყველა პირობაა, როგორც იტყვიან ხოლმე, საკუთარი შნოსა და მარიფათის გამოსავლენად. ამის შემდეგ სამეულმა გენერალურ პროკურატურაში გადაინაცვლა.

დაემთხვა და კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე შარშანდელი და წლევანდელი 3 თვის შედეგების შეჯამება აქაც ახლად გარემონტებულ სხდომათა დარბაზში გაიმართა. და ეს თემა თითქმის გააგრძელა ბატონმა ზურაბ ადეიშვილმა, რომელმაც შთამბეჭდავი ციფრები დაასახელა: შარშან პროკურატურის ბიუჯეტი გახლდათ 5 მილიონი ლარი, წელს კი – 16 მილიონი ლარი. ასეთ დროს მართლაც შეიძლება შენობების გალამაზებაც, მუშაკთა ხელფასის გაზრდაც და მათთვის პასუხის მოთხოვნაც. ამიტომაც არისო, რომ საგრძნობლად გააქტიურდა ბრძოლა კორუფციის აღმოსაფხვრელად და, პარალელურად, ადამიანის უფლებათა დასაცავად. მართალია, 59 მაღალი რანგის ჩინოვნიკი მექრთამეობისთვის საკნებში გაუშვიათ, მაგრამ ამავე დროს 40 სამართალდამცველი მათთვის მიუყოლებიათ სწორედ ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის.

სხვათა შორის, მექრთამეობისთვის ხელბორკილი პროკურატურის 10 მუშაკისთვისაც დაუდებიათ. ამას ბატონმა ვანო მერაბიშვილმა 18 პოლიციელიც მიამატა და... ასე მტკივნეულად მიდის შეგუება ახალ რეჟიმთან. ზოგს ძველი მადა ვერ დაუოკებია, 400-500-იანი კი არა 1000-1200-ლარიანი ჯამაგირიც ვერ შეუშნოვებია და მაინც უხვევს გზიდან... ციხის მიმართულებით. სამწუხაროდ!



ის „დაფარული" ციფრები კი, რომლებიც ყველას აინტერესებდა, გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ გადმოალაგა: 2004 წელს საქართველოში აღრიცხულია 24.856 სისხლის სამართლის დანაშაული.

ეს თურმე 42 პროცენტით აღემატება 2003 წლის მაჩვენებელს. ცხადია, მატება სოლიდურია, საგრძნობია. თუმცა სამართალდამცავები გვამშვიდებენ, რომ საერთო კრიმინოგენური სიტუაცია სტაბილურია, ეს სიტუაცია იქნებ კიდევაც გაუმჯობესებულია; მატება განპირობებულიაო დანაშაულის ზუსტი აღრიცხვის გამო. ახლა აღარაფერი იმალება, ყველაფერი ფიქსირდება.

ისე, ყველაფერი იქნებ ვერ დაფიქსირდეს, – ბევრი „მობილურის" წაგლეჯისთვის კი არა, ბინის გატეხვისთვისაც არ მიდის პოლიციაში, მაგრამ რაღაც დამამშვიდებელი მონაცემები მაინც მზიურდება. მაგალითად, 2003 წელს განზრახ მკვლელობა ყოფილა 302, 2004-ში კი – 281. ცოტა, თუმცა ასევე იგრძნობა კლება ყაჩაღობის, ძარცვის, ქურდობის მაჩვენებლებისაც. აი, ნარკომანია კი... მიდის და მიდის ზევით, ზევით, ზევით... ნეტა, რა გვეშველება...

ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ძველ ჩინოვნიკებს ხალხის შეჭმული ფული ცხვირიდან ძმარივით წამოადინა. ადრე მათ ბუზსაც არ უფრენდნენ, ახლა კი... დაუკავებიათ 7 მინისტრი, 9 მინისტრის მოადგილე, პრეზიდენტის 3 რწმუნებული, ქალაქის 4 მერი, 7 მოსამართლე, მსხვილი სამსახურების, უწყებების, დაწესებულებების უფროსებს, გამგებლებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს ხომ თვლაც არ აქვს. ნახეთ: სასამართლოებში წასულია 8.101 საქმე. იქიდან გამოძრომას კი იოლად ვეღარავინ ახერხებს.

დაძაბულობა განმუხტა და ცოტა ნერვებიც დააწყნარა თბილისის პოლიციის უფროსმა მერაბ ბაღათურიამ. მისი თქმით, წლევანდელ სამ თვეში დედაქალაქში აღრიცხულია 2.341 დანაშაული. ეს პატარა ციფრი არაა, მაგრამ მაინც 8 პროცენტით ნაკლებია შარშანდელი ამავე პერიოდის მაჩვენებელზე. ჰა? იქნებ გამოკრთეს იმედი? როდემდე უნდა ვიყოთ დაზაფრულები? პირველ კვარტალში უკვე აუყვანიათ 196 დანაშაულებრივი ჯგუფი 500-ზე მეტი კაცით. ქალაქში თურმე ჯერაც ბლომად დაიარებიან ავტომანქანების გამტაცებლები, იარაღის მატარებლები, ნარკოტიკების გამსაღებლები... ლამის ისევ შიშმა გადაუაროს იმედს, მაგრამ...

– ჩვენ სრულიად ახალი პოლიცია შევქმენით, სრულიად ახალი პროკურატურა, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. აქ ახალი სულისკვეთებაა. ასე იმუშავეთ, ნურავის შეგეშინდებათ. საზოგადოება ვერ იტანს უსამართლობას. თქვენ პარაზიტები უნდა ამოშანთოთ, რათა ხალხმა შეგიყვაროთ. აგერ, პატრული. მან უკვე დაიმსახურა ადამიანთა ნდობა. უხარიათ მისი დანახვა, ასეთ სიტუაციაში საზოგადოება სათანამშრომლოდ წამოვა და ეს ჩვენს საერთო წინსვლას, საერთო ვითარების გამოსწორებას წაადგება.

ჩვენთან კანონი ამოქმედდა, კანონის უზენაესობა დამკვიდრდა. ეს გვიქმნის უნიკალურ პერსპექტივას. მართალია, გვიტევენ როგორც შინაური, ისე გარე ძალები, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ვიცით, უახლოეს თვეებში აქ დიდი ფული შემოვა პოლიტიკაში ჩასადებად, სიტუაციის ასარევად, მაგრამ ყველას გავცემთ პასუხს. ბიუროკრატიას დავამარცხებთ, აფხაზეთსაც დავიბრუნებთ. ჩვენ ვიცით, საითაც მივდივართ.

**ღმერთმაც ხელი მოგვიმართოს და კაცმაც ამ უძნელეს, ამ ურთულეს გზაზე.**

**ბონდო გულიაშვილი.**

◉ ინფორმაცია

## ვინ დაესხა თავს იოსებ ორჯონიკიძეს?

**რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მოსკოვის ვიცე-პრემიერზე იოსებ ორჯონიკიძეზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს.**

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დაკავებული ჩეჩნეთის მკვიდრი, 34 წლის ხანტაევია, რომელიც 2003 წლიდან იძებნებოდა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მისი დაკავების დეტალები არ ხმაურდება.

ორჯონიკიძეზე თავდასხმა 2002 წლის ზაფხულში განხორციელდა. მილიციის ფორმაში გამოწყობილმა ადამიანებმა ვიცე-პრემიერის ავტომანქანას პისტოლეტებიდან ცეცხლი გაუხსნეს. დაჯავშნულ ავტომანქანაში მყოფი ორჯონიკიძე არ დაშავებულა, მსუბუქად დაიჭირა მისი მცველი.

## მრიცხველებს ქუთაისშიც იპარავენ

**ქუთაისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 46 წლის ბადრი ვერულაშვილი დააკავეს. სამართალდამცველებმა ვერულაშვილი იმ დროს აიყვანეს, როცა იგი ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ მაღლივ კორპუსში დამონტაჟებული 50-მდე მრიცხველის მოხსნას ცდილობდა. ვერულაშვილი წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი.**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის სერვის-ცენტრში სპეციალური ბრიფინგი მოაწყვეს.

როგორც „ინტერ-პრესს" ენერგოკომპანიის ქუთაისის სერვის-ცენტრის პრეს-მდივანმა თეონა გეგუჩაძემ განუცხადა, ქუთაისში არსებული ყველა მრიცხველი, ნომრების მიხედვით, სპეციალურ ბაზაშია შეყვანილი. მისივე თქმით, ქურდობის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე ელექტრომოწყობილობების რეალიზატორების წინააღმდეგაც აღიძვრება.

## სამხედრო პოლიცია – თავდაცვის სამინისტროში

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უახლოეს მომავალში სამხედრო პოლიცია ჩამოყალიბდება. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრომ კანონპროექტი მოამზადა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა განსახილველად.**

აღნიშნული კანონპროექტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა უნდა განიხილოს. სამხედრო პოლიცია პასუხისმგებელი იქნება სამხედრო ძალების ტერიტორიაზე და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინის დაცვაზე.

**ინტერ-პრესი.**

◉ ოპოზიცია

# რას უპირებენ კონსერვატორები „თავნება" პრეზიდენტს?

**თბილისის მერის არჩევითობას ოპოზიცია დიდი ხანია ითხოვს. თუმცა, დღეს ბევრ იმ ქალაქსაც (ქუთაისს, ზესტაფონს, ბათუმს...) არ ჰყავს არჩეული მერი, რომლებსაც ამის კონსტიტუციური უფლება აქვთ. იმ რამდენიმე ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც მერებს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდათ, რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარებულა. ეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესების შეფერხებას იწვევს, – აცხადებენ კონსერვატორები და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ინიციატივით გამოდიან.**



– „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ქალაქის მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ქალაქის მერის რიგგარეშე არჩევნებს. ჩვენ ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე მივმართეთ როგორც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. ფაქტია, რომ ამ ქალაქებში რიგგარეშე არჩევნები არ არის დანიშნული. ჩვენი აზრით, ეს კანონის უხეში დარღვევაა. ამავე დროს, ეს არის პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა, – აღნიშნა კახა კუკავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

კონსერვატორებმა უკვე მიმართეს სასამართლოს, რათა პრეზიდენტს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ ადმინისტრაციული აქტი გამოეცა. კახა კუკავას თქმით, 20 აპრილს უზენაესი სასამართლო ამ სასარჩელო განცხადების განხილვას დაიწყებს.

ზვიად ძიძიგურმა გაზეთ „ალიას" ყოფილი კორესპონდენტი, ქუთაისის მერად დანიშნული ბესიკ გულორდავა გაკენწლა – ადრე მხარს უჭერდა ჩვენს მიერ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნას, ხოლო როცა თვითონ შესთავაზეს მერის თანამდებობა, დაუფიქრებლად დათანხმდაო.

– ხელისუფლებას ურჩევნია, ადგილობრივი მმართველობა არჩეული კი არ იყოს, ერთგული ყმები დანიშნოს, რათა არჩევნებში გაიმარჯვოს. ამ პროცესში კი კონსერვატორებს მონაწილეობის მიღება არ სურთ, თუ სასამართლო პრეზიდენტს არ დაავალდებულებს, ჩაატაროს რიგგარეშე არჩევნები. კონსერვატორები პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას ცდილობენ. მათი თქმით, რაკი პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევს, და საქმის გამოსწორების სხვა საშუალება არ რჩება, იმპიჩმენტის მოთხოვნა გარდაუვალია.

– მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, მთელი საქართველო გადააქციოს ერთ საარჩევნო ოლქად, სადაც კონკურენტებს არანაირი შანსი არ დარჩებათ. მას ხელისუფლების უზურპაცია სურს, ჩვენ კი ასეთ ქვეყანაში ცხოვრების სურვილი არ გვაქვს, პრეზიდენტის ამ თავნებობას უნდა შევეწინააღმდეგოთ, – ასე ახსნა ბატონმა ზვიადმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის იმთავითვე განწირული პროცედურის წამოწყების განზრახვა.

– ჩემთვის ცხადი ხდება, რატომ არ თხოვს პრეზიდენტი პასუხს თავის დამნაშავე ხელქვეითებს, იქნება ეს ბრეგაძე, ქარელი თუ კეზერაშვილი. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა დაკარგა მორალური უფლება, კანონის დარღვევისთვის სხვებს მოსთხოვოს პასუხი. კანონისა და კონსტიტუციის პირველი დამრღვევი თვითონ არის, – ჩვეული სიმწვავე გაურია ნათქვამში კობა დავითაშვილმა.



მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორები იმდენად გულუბრყვილოები არ არიან, რომ იმედი იქონიონ, პარლამენტის ორი მესამედი მხარს დაგვიჭერსო, როგორც ითქვა, იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებას აპირებენ. პარლამენტმა აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა აკონტროლოს, იმპიჩმენტის საკითხი კი, მათი აზრით, მოვალეობის შესასრულებლად დარჩენილი ბოლო ნაბიჯი იქნება. მანამდე კი კონსერვატორები პრეზიდენტის ახსნა-განმარტებას მოელიან.

**რუსუდან გახარია.**

◉ თანამშრომლობა

# საგადასახადო სისტემის დასახვეწად

### აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფისკალური რეფორმის პროექტის მიერ გაწეული დახმარების შესახებ

**საგადასახადო სფეროში საქართველოს უდიდეს დახმარებას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით განხორციელდა მრავალი პროგრამა, მათ შორის საგადასახადო სისტემის რეფორმა, გასული წლის ნოემბრიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს უკვე გაეწია დახმარება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფისკალური რეფორმის პროექტის ფარგლებში. კერძოდ, საგადასახადო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატს, მსხვილ და აქციზის გადამხდელთა ინსპექციებს გადაეცა უახლესი მოდელის 15 კომპიუტერი და 5 ლეპტოპი. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლისთანავე პროექტმა დააფინანსა კოდექსის (4500 ეგზემპლარი) ქართულ ენაზე გამოცემა, რომელიც ამერიკელი გადასახადის გადამხდელისაგან უფასოდ დაურიგდა ქართველ გადამხდელებს. უკვე დამთავრდა საგადასახადო კოდექსის ინგლისურ ენაზე თარგმნა, რომელიც პროექტის ვებ-გვერდზე განთავსდება. ამჟამად, მიმდინარეობს საგადასახადო დეპარტამენტის 2004 წლის წლიური ანგარიშის ინგლისურ ენაზე თარგმნა, რომელიც დეპარტამენტის ვებ-გვერდის პარალელურად, პროექტის ვებ-გვერდზეც განთავსდება.**

**აღსანიშნავია, ასევე, აქციზის გადამხდელთა ინსპექციისთვის გაწეული დახმარების შესახებ. კერძოდ, აქციზური პროდუქციის მწარმოებელთა და იმპორტიორი ფირმების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით ტექნიკური და ანალიტიკური ინფორმაციის დასამუშავებლად შეიქმნა სპეციალური პროგრამული პროდუქტები. კერძოდ, აქციზის გადამხდელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გარდაქმნის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა სპეციალური ვებ-პორტალის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას იძლევა საგადასახადო დეკლარაციების, აქციზური მარკების შესაძენად განაცხადების, დღგ სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებისა და სავალდებულო ანალიტიკური ფორმები გადამხდელმა თვითონ შეიტანოს საგადასახადო ინსპექციის ელექტრონულ ბაზაში. ამასთანავე, დამოუკიდებლად მიიღონ უახლესი ინფორმაცია საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. ახალი სისტემის დანერგვით საგადასახადო ინსპექციის მუშაობა უფრო გამჭვირვალე და გადამხდელისთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი გახდება.**

**პროექტის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოში სპეციალურად მოიწვიეს საგადასახადო სფეროს ექსპერტი, რომელმაც განსაზღვრა ძირითადი მიმართულებები პორტალის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ მოწვეული პროგრამისტები და აქციზის გადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლები. ამჟამად, პროგრამისტებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა უშუალოდ ტექნიკური დეტალების, დიზაინის შექმნისა და მოდიფიცირებისთვის.**

**უახლოეს მომავალში განსაზღვრულია ვებ-პორტალის პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოს დასრულება და მისი ტესტირება. პროექტის დახმარებით მოხდება პორტალის დაცვითი სისტემების უახლოესი ლიცენზირებული პროგრამების შეძენაც, სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებასა და მასმედიას.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი.**

◉ ინფორმაცია

## იყიდით სანომრე ნიშანს 50 000 ლარად?

**ავტომობილების სანომრე ნიშნებთან დაკავშირებით მთავრობა ახალი ინიციატივით გამოდის.**

**მომზადებული კანონპროექტით, საკუთარი ავტომანქანებისთვის ექსკლუზიური სერიის სანომრე ნიშნების მოპოვების მსურველებს 27-დან 50 ათასამდე ლარის გადახდა მოუწევთ. აღნიშნული ცვლილება „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ" კანონში შევა.**

**კანონპროექტი საქართველოს მთავრობამ მოამზადა და საკანონმდებლო ორგანოში იგი ამ დღეებში შევა. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ავტომანქანის მფლობელს სანომრე ნიშნის სერიის არჩევის უფლება მიენიჭება.**

**როგორც „ინტერ-პრესს" სარწმუნო წყარომ აცნობა, ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, შესაძლოა საქართველოშიც გამოჩნდეს ავტომანქანის ნომრები მფლობელის საკუთარი სახელით.**

◉ გვაკხსოვდეს აფხაზეთი!

# ჩვენ მათი გახარება შევძელით

**საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით მუშაობენ. ამ საკითხზე გვესაუბრება კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი კობა ქარჩავა.**



– მოგეხსენებათ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გალი ყველაზე დაზარალებული რაიონია. იქ, ეგრეთ წოდებული დაბალი ზონის სოფლებში დაბრუნებული ხალხი დღესაც მუდმივი შიშისა და საფრთხის ქვეშ ცხოვრობს. იმდენად, რამდენადაც გალის რაიონში საქართველოს კანონმდებლობა არ ვრცელდება, ქართული მხარე შექმნილ ვითარებაში კონტროლს ვერ ახორციელებს, ამასთან სოფლებში მართლწესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნების საკითხის მოგვარებას ვერც აფხაზეთის ადგილობრივი მმართველობა ახერხებს. ვითარება მუდმივად ფეთქებადსაშიშია.

**– ასეთ სიტუაციაში მოსახლეობას რისი ან ვისი იმედი აქვს?**

– მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად არიან, მაგრამ იქ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ძალიან უჭირთ. წარმოიდგინეთ, ნებისმიერი კეთილი ნების გამოვლენას შესაძლოა, აფხაზეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვეს. დაუცველობა, არასაკმარისი რესურსები და დაბრკოლებები ჰუმანიტარული აქციების ჩატარებას, რა თქმა უნდა, ხელს უშლის, მაგრამ ჩვენი დეპარტამენტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივი ძალისხმევით გალის რაიონში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას მაინც ახერხებს.

**– თქვენმა ერთმა ღონისძიებამ, რომელიც გალში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. კონფლიქტის ზონაში შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა საკმაოდ თამამი იდეაა.**

– ამაზე დიდხანს ვფიქრობდით. ეს პროექტი წლეულს, თებერვალში განხორციელდა. მისი მიზანი გახლდათ კონფლიქტის ზონაში არსებულ ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა, დევნილი და მზრუნველობასმოკლებული ბავშვების კულტურული რეაბილიტაცია, ამასთან, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ბავშვების დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა. ყველაფერ ამაზე მუშაობა რთულიც იყო და საინტერესოც.

**– კი, მაგრამ კონფლიქტის ზონაში შემოქმედებითი ჯგუფები სად „იპოვეთ"? თუ საამისოდ იცლიან, ჩანს საქმე არც ისე ცუდად ყოფილა.**

– იქ, სადაც დევნილები დაბრუნდნენ (გაეროს მიერ დადგენილ თორმეტკილომეტრიან უსაფრთხოების ზონაში) ქართული სკოლები განახლდა. მათ დიდი სიძნელეების გადალახვა მოუწიათ. დღეს იქ ათეულობით მოსწავლე სწავლობს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ყველანაირ ცივილიზაციას მოწყვეტილი არიან. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა. ამაში ჩვენ ნამდვილად დავრწმუნდით. ადგილობრივმა მასწავლებლებმა ამ ბავშვებთან ერთად შეძლეს შემოქმედებითი ჯგუფები ჩამოეყალიბებინათ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. თუმცა, მატერიალური ბაზა ძალიან მწირია და საზოგადოების მხრიდან აუცილებელი მხარდაჭერა სჭირდებათ. ამჟამად გალის რაიონის სოფლებში ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ორი ჯგუფი მოქმედებს. სწორედ ეს ჯგუფები ჩამოვიყვანეთ თბილისში საქველმოქმედო კონცერტის ჩასატარებლად, რომელსაც დედაქალაქში არსებული ბავშვთა სახლების მოზარდები და დევნილი ბავშვები უფასოდ დაესწრნენ.

**– მათთვის ბილეთები, ალბათ, პროექტის ავტორებმა შეიძინეთ.**

– არა, ბიზნესმენებმა და ბიზნესჯგუფებმა ითავეს. შემოსული თანხები მთლიანად გალელ ბავშვთა განათლების მხარდაჭერას მოხმარდა. კერძოდ, შევისყიდეთ ორი კომპიუტერი, რის შემდეგაც სოფელ ქვემო ბარღების საშუალო სკოლის ბაზაზე კომპიუტერის სწავლების უფასო კურსები გაიხსნა, რომელიც დაახლოებით ხუთ სკოლას (სოფელს) მოემსახურება.

**– კომპიუტერული პროგრამების მასწავლებელიც ადგილობრივებში მონახეთ?**

– რა თქმა უნდა, ამაზეც ვიზრუნეთ. უფრო სწორად, იქაური ახალგაზრდა მოვამზადეთ. ვასწავლეთ და ახლა იგი ბავშვებს წარმატებით ასწავლის. გალიდან ჩამოსულ მოსწავლეებს კონცერტის შემდეგ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი დავათვალიერებინეთ. ბავშვები აფხაზეთში კმაყოფილი და გახარებული დაბრუნდნენ.

უნდა აღვნიშნო, რომ პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაციამ", აფხაზეთის ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველომ, კოალიციამ „ახალგაზრდობა მშვიდობიანი აფხაზეთისთვის" და ჩვენმა დეპარტამენტმა. ასევე, აღსანიშნავია, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მხარდაჭერა, რომელმაც პირადად მიიღო, დალოცა და დაასაჩუქრა ამ ღონისძიებაში მონაწილე ბავშვები. მინდა მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს რკინიგზას, რკინიგზელთა კულტურული ცენტრის ხელმძღვანელობას, ყველას ვინც ამ პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა.

**მზია გელენავა.**

**სურათებზე: საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი კობა ქარჩავა; გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფის წევრები.**



⊙ სამკუთხა ბარათის ნახმევი

(პირველი გვერდიდან)

მერე უკვე აღარ იკითხება. ასოები აღარა ჩანს. მაგრამ ვხვდები, ვის მოკითხვასაც სთხოვდი დედაჩემს, იმჟამად მართლაცდა წელებზე ფეხებდადგმულს. უწინარესად, რასაკვირველია, დედაშენისა და შენი ძმების მოკითხვას სთხოვდი, შენი თანშეზრდილი ბიძაშვილებისას, შენი გოსტიბელი და სამაჭალოელი დეიდაშვილებისას, რომლებიც ომამდე ჩვენი სოფლის ხშირი სტუმრები იყვნენ. პატარა კი ვიყავი, მაგრამ დღესაც ცხადად მიდგას თვალწინ, როგორ შემოუსხდებოდით ხოლმე შუა ქვევრის თავს პაპაჩემის მიწისპირად გაწყობილ მარანში, სადაც იმ ომიანობის სევდიან დღეებში ღვინოს ძველი გემოც დაჰკარგვოდა და ძველი სურნელიც.

შენი დაღუპვის ცნობა სულ ახალი მიღებული გვქონდა, რომ მალე შენი ძმების უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავიც მოვიდა. დედაშენს, ბებიაჩემს, უჩვეულოდ ამაყ ვარჯაანელ ქალს, სოფლის შარაზე გაჰქონდა ნაკურთხი ტაბლა და ამვლელ-ჩამვლელთ შვილების შესანდობარსა სთხოვდა. ცოტა ხანში ბებიაჩემის გვერდით ბევრი შავოსანი ტაბლიანი დედაკაცი დადგა და, კარგად მახსოვს, როგორ აუჯანყდნენ ეს შვილებდაღუპული დედები სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიღაც სოფლისა თუ აულის ბერასავით ვიწრო ორღობეში შენს გადამრჩენელ ღმერთს. მთლად გადაირივნენ, უკადრებელიც კი იკადრეს... ღმერთს ჯერ ჰიტლერი და მერე სტალინიც ზედ მიაყოლეს.

ასე იყო თუ ისე, შენი თქმისა არ იყოს, იმ ჩვენმა წაუქცეველმა გორელმა მაინც თავისი გაიტანა. შენი დაღუპვის შემდეგ ომმა კიდევ სამ გრძელ წელიწადს გასტანა. ღვთისა თუ დედაჩემის სიყოჩაღის წყალობით შენს შვილებს მაინცდამაინც არც ძალიან მოგვშივნია და არც სხვის კუთვნილზე წაგვცდენია ხელი.

შენი თაობის ბიჭებიდან თითქმის აღარავინ დაბრუნებულა. ერთი ეგ იყო, სალღანა ცალფეხა ჩამოვიდა. ხოლო მეწისქვილე კანკლუმეს ბიჭი, პოხრო, ჯერ კიდევ შუა ომი იყო, ჯარიდან რაღაც მანქანებით გამოპარული თავიანთ შუა ვენახში იმალებოდა. ვიღაც თათარს საპონი ეჭმია და ისეთი დაავადებული იყო, იმ სენმა ომის დამთავრებამდე გადაიყოლა. დიდი წვალებითა და ვაებით მოკვდა. იქვე ვენახში დამარხეს, ჩუმად, არავის არ გააგებინეს. სოფელი გვიანღა ჩავარდა გულისხმაში, რომ გამოპარული იყო...

ამ წერილს, როგორც შენი სამკუთხა ბარათის ნახმევს,



# სამოცი წლის შემდეგ დამარცხებული გამარჯვება,

## ანუ ჯარისკაცის წერილი 1942 წელს დაღუპულ მამაჩემს, მაშინ 30 წლის ჯარისკაცს

2005 წლიდან გწერ, შენი დაღუპვიდან 63 წლის შემდეგ. შენ 30 წლისა დარჩი, მე კი უკვე სამოცს გადაცილებული ვარ. ორჯერ და უფრო მეტად შენზე დიდი. მამა კი ხარ, მაგრამ ამჟამად თითქმის შვილიშვილად მეკუთვნი. ამიტომ წარსულიდან გწერ თუ მომავლიდან, ეგ შენ გაარკვიე.

როგორც ჩანს, მთავარი თურმე ის არის, ამქვეყნად ვიღაც უტყუარი გულშემატკივარი დაგრჩეს, ვინც თუნდაც შეუძლებელ წერილს მოგწერს და, სანამ მანდ მოვიდოდეს, აქედან შეგატყობინებს, რაც ამ უბარაქო წუთისოფელში ხდება. ამ მართლაც უბარაქო წუთისოფელში კი ბევრი ისეთი რამ ხდება (ცხადია, თქვენს დროსაც ასევე იყო), კაცმა არ იცის, სად უფრო უკეთესია, მანდ თუ აქ.

შენ, რასაკვირველია, უწინარესად საქართველოსთვის იბრძოდი, მაგრამ ის დიდი ქვეყანა, რომლის ჯარისკაციც შენ გერქვა და რომელსაც, როგორც ახლა ჩანს, რუსების გულის გასახეთქად და დანარჩენი მსოფლიოს გასაკვირად, ჩვენებური ფოლადის კაცი მთელი ოცდაათი წელიწადი ედგა სათავეში, დაიშალა, უფრო სწორად, დაშალეს, თანაც ძალიან ბევრი შინაურისა თუ გარეულის ხელშეწყობითა და გასახარად. ჯერხნობით იმ დაშლილი ქვეყნის ნანგრევებში გვიხდება ბობღვა. თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლას ბოლო არ უჩანს, როგორც შენთვის იმ მაშინდელ დიდ ომს არ უჩანდა ბოლო. ისე, ახალგაზრდა კი ხარ, მაგრამ ჩემზე ნაკლებ არ უნდა იცოდე, რომ ბევრისთვის, მაშინაც (შენს დროს ვგულისხმობ) და ახლაც, ყველა დროში, სულ თავისუფლება და დემოკრატიაა. ხალხს კი მუდამ სისხლისა თუ სიმწრის ოფლის ფასად უჯდებოდა და უჯდება თითოეული წვეთი თავისუფლება და დემოკრატია. როგორც ჩანს, უბრალო ადამიანი ბრძოლისთვის იბადება, ოღონდ ძლიერთა ამა სოფლისათა თუ აცალეს და თავიანთი კერძო მიზნებისთვის არ ალაშქრეს „ბედნიერი მომავლის“ საბაბით.

ომი, რომელიც მეოცე საუკუნის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომად არის შესული და რომლის დამთავრებასაც შენ ვერ მოესწარი, 1945 წელს გასრულდა. შენ გარდა იმ ომში 699 ათას 999 ქართველი მონაწილეობდა. როგორც ანგარიშობენ, ნახევარი არ დაბრუნებულა. თუმცა, ამ ციფრებს ყველა თავის ჭკუაზე (თუ უჭკუობის ღერძზე) ატრიალებს. გააჩნია, ვის რა აძლევს ხელს და რა ტკივილის სიმაღლიდან უყურებს ჩავლილსა და გავლილს.

აგერ ახლა, ერთი თვეც აღარ დარჩა, 9 მაისს 60 წლისთავი სრულდება, რაც ის „შენი“ ყველაზე დიდი ომი დამთავრდა, რომელსაც, როგორც იცი, ის ჩვენებური ძალზე „ბრაზიანი“ კაცი სარდლობდა და რომლის გამარჯვების დროშაც რუსებთან ერთად ქართველი კაცის მარჯვენასაც ეჭირა.

მაგრამ ისტორია, კარგად მოგეხსენება, როცა სინდისთან მწყრალად მყოფი მოთავისე ადამიანები წერენ, ხშირად უსამართლო მსაჯულია. ძალიან ბევრი თვალსაზრისით, ჯერჯერობით სწორედ ამ უსამართლო მსაჯულის მსხვერპლად გამოიყურებიან „შენი“ ომიც, „შენი“ მხედართმთავარიც, ბერლინის თავზე ატანილი დროშაც, იმ დროშის იქ ამტანი ქართველიც, დანარჩენ შვიდასი ათასზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამჟამინდელ ისტორიოგრაფიაში (მეტადრე რუსულში) ყველაფერი თავდაყირა დგას. „ახალი აზროვნების“ აშკარად შოვინისტი მემატიანენი იმის მიუკერძოებელ ანალიზს კი არ ახდენენ, რაც მოხდა და როგორც მოხდა, პირიქით, ახალ „ისტორიას“ ქმნიან, როგორც თვითონ აძლევთ ხელს, ისე „ალაგებენ“ ყველა ჩვენგანის თვალწინ მომხდარ წარსულს. ბევრი ეგრეთ წოდებული მემატიანე, განსაკუთრებით რუს „მემატიანეთა“ მისამართით ვამბობ, ისეა გატაცებული ისტორიიდან თავიანთი უცხოტომელი თავკაცისა და მხედართმთავრის საბოლოოდ ამოძირკვით, რომ ამ სავალალო მეცადინეობის შედეგად ხელთ ისტორიის ჩონჩხიღა შერჩათ. ყველა და ყველაფერი, ავიც და კარგიც, ერთ ტაფაშია მოქცეული...

როგორც მაშინ, შენს დროს, დღესაც უთვალავნი არიან ისინი, ვინც რაკი მაშინ ვერ გაამარჯვებინა, დღეს ამარჯვებინებს სვასტიკას. ამ ერთგვარად „ჯავრის ამოყრის“ ავად გამიზნულმა პოლიტიკამ არა მარტო უმთავარსარდლოდ დატოვა რუსების მხრიდან მეორე მსოფლიო ომი, არამედ რუსებს, მათივე სამარცხვინოდ, დააკარგვინა თავიანთი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება, რომელსაც დღეს, უკვე სამოცი წლისთავზე, აგრერიგად „ებლაუჭება“. თქვენ თუ ქვეყანა არა გქონდათ და არც მთავარსარდალი გყავდათ, აბა, ეს ომი ჩვენ მოგვიგია და ჩვენს მთავარსარდლებსო, უმალ სხვა პატრონები გამოუჩნდნენ თავიანთ ახალ ისტორიაზე დაბოღმილ რუსთაგან თითქმის მთელი ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში საჭოჭმანოდ გამხდარ გამარჯვებას.

რაღა დაგიმალო და, იმ ზოგზოგი გულგასივებული რუსისა არ იყოს, არც ჩვენშია ცოტა ისეთი ვიგინდარა (სხვა სახელს ვერ დავარქმევ), ვისაც სახლის დედაბოძი თავისით ამოსული ჰგონია და რატომღაც ტუჩაბზუებული უცქერის უკვე საკმაოდ დაუძლურებულ ზურგზე „ომმოკიდებულ“ თითოოროოლა ბერიკაცს, მაშინაც სასწაულად გადარჩენილს და დღესაც სასწაულად ცოცხალს. მე კი ეს ბერიკაცები, ყველანი ერთად, შენა მგონიხარ და არც ვიცი, ვინ უფრო ბედნიერია, ესენი, რომელთაც გამარჯვება წაართვეს, თუ შენ, ვინც ვერც იმ გამარჯვებას მოესწარი, სამოცი წლის წინათ, და ვერც ამ დამარცხებას, სამოცი წლის შემდეგ.

ბოლოში რომ გავედი, მივხვდი, რომ ამ წერილს მარტო ჩემი სახელით კი არა, მამის საფლავდაკარგული თაობის სახელით გწერ.

წერტილს აქ დავსვამ, მაგრამ სათქმელი იმდენი დამრჩა, რატომ ერთი დიდი წიგნი არ გამოვა. დანარჩენი მერე იყოს, ვნახოთ, როგორ ჩაივლის, აწ უკვე თითქმის წყალწყალა (სულაც არ მეშინია ამის თქმა), გამარჯვების ეს ნაძალადევი, უფრო სწორად კი, გვიან გონსმოგებულთა დღესასწაული, რომელსაც, როგორც პრესაში იწერება, მთელი მსოფლიოს დიდკაცობა დაესწრება.

მოსკოვში ამ დღესასწაულის გამართვის თაობაზე გადაწყვეტილება პრეზიდენტს ეკუთვნის. ადრე ერს იდეას გენიალური ლიდერი აძლევდა, ახლა ქვეყანაში საბოლოო სიტყვის მთქმელი პრეზიდენტია, რადგან დღეს საერთოდ გენიოსების დრო არ არის...

და რახან დღესასწაულს რუსები მასპინძლობენ, იმედია, ნამარ ქართველებს უმაღლესი მთავარსარდლის სამშობლოდანაც მიიწვევენ, თუმცა ჩვენი წილი გამარჯვების ნიშნად ერთ-ორ შუშხუნას, მგონი, თბილისშიაც გაისვრიან.

ყოველ შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს, შენ მაინც ჩემ გვერდით იქნები.

**გურამ გოგიაშვილი.**

⊙ ჟურნალისტური გამოძიება

# მელს ბდოიანის კარიერა, ანუ ოქროს ლურსმანი

## თუ „იყოჩაღებ“, დღეს ოსტაპ ბენდერსაც ჯიბეში ჩაისვამ

(პირველი გვერდიდან)

გამგებლის მოადგილემ ნ. სახაკიანმა ერთხელაც გადაიკითხა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი. მაგრამ ამჯერად არა ზემოდან ქვემოთ, როგორც უნდა იკითხებოდეს კანონები, არამედ – ქვემოდან ზევით. ასეთი შემოქმედებითი წაკითხვის შედეგად, რაც იურისპრუდენციაში კვალიფიცირდება, როგორც განმარტებითი ძალმომრეობა სამართლებრივ ნორმებზე, ნ. სახაკიანმა „აღმოჩენა“ გააკეთა. ვინაიდან იგი გამგებლის მოადგილეა ეკონომიკისა და ფინანსების დარგში, მაშასადამე, ავტომატურად არის პირველი მოადგილე და, თავისთავად ცხადია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელიც უნდა იყოს.

„აღმოჩენა“ ბატონმა სახაკიანმა სასწრაფოდ „დააპატენტა“, როდესაც 2004 წლის 29 სექტემბერს თავი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ჯანდაბას, მარტო თანამდებობა რომ მიეთვისებინა ბატონ სახაკიანს. მაგრამ მას ეშმაკი არ ასვენებდა. რა თავში იხლი თანამდებობას, თუ ძალაუფლებით არ იქნები აღჭურვილი? და ამავე დღეს მან გამგეობას განკარგულებათა კასკადი დაატეხა თავს. რასაკვირველია, აქედან არც ერთი არ ეხებოდა რაიონის პრობლემებს. ბატონმა სახაკიანმა მკაცრად მოჰკიდა ხელი საკადრო პოლიტიკის განხორციელებას. მაშინვე გაათავისუფლა რ. ნარიმანიძე, გამგებლის პირველი მოადგილე ტ. ჩუხმაევა, აპარატის უფროსი ლ. კაზარიანი.

მოგვიანებით კი ნინოწმინდის მოსამართლე ბატონი ა. ჩობანიანი, რომელმაც აღადგინა რ. ნარიმანიძე თანამდებობაზე, თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერს, რომ მის გასათავისუფლებლად არავითარი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ თვითმარქვია სახაკიანმა, რომელმაც გააკეთა ერთი იურიდიული „აღმოჩენა“, გაბედულად გადადგა შემდეგი ნაბიჯიც. იგი არა მარტო ართმევდა, არამედ არიგებდა კიდეც თანამდებობებს: მოადგილედ დაინიშნა დ. გელაშვილი და მ. ბდოიანი. ამ უკანასკნელს, რომელიც არ იყო რაიონული საკრებულოს წევრი, მინიმალური ფორმალური კანონიერი უფლება არ ჰქონდა დაეკავებინა ეს პოსტი. მაგრამ სახაკიანს მადა გაეხსნა. მალე მ. ბდოიანი მისი წყალობით უკვე გამგებლის პირველ მოადგილედ მოგვევლინა და ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინა. თურმე თავისთვის როდი ცდილობდა ბატონი სახაკიანი, როდესაც კანონზე ძალმომრეობით ძალაუფლების მოპოვებისთვის იბრძოდა: ბატონი ბდოიანისთვის ზრუნავდა. ხოლო, როდესაც ამოცანა შეასრულა და დანაშაულებრივი სქემა დაასრულა, მოკრძალებულად გადადგა თანამდებობიდან. ახლა უკვე ბდოიანმა გამოაცხადა თავი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად და, რა თქმა უნდა, უმალ შეუდგა საკადრო პოლიტიკის განხორციელებას: მოიხსნას, დაინიშნოს, მოიხსნას, დაინიშნოს...

მაინც ვინ არის ბატონი ბდოიანი, რომლის გარშემოც ასეთი ვნებათაღელვაა ატეხილი ახლა ნინოწმინდის რაიონში? იქნებ, იგი დროისა და საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად ისეთი მასშტაბური პიროვნებაა, რომ არც ღირს ვუსაყვედუროთ რაიონული ხელისუფლების მითვისება? იქნებ, ეს თანამდებობა სულაც არ არის მისთვის ოცნების მწვერვალი, პირიქით, მძიმე ტვირთია და თუ მივცემთ საშუალებას, ცოდვას იმით გამოისყიდის, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს თანამემამულეთა სასიკეთოდ მოახმარს საქვეყნო საქმეს? ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება დაგარწმუნებთ, რომ დიახაც, ბატონ ბდოიანს ბადალი არ მოეძებნება, მან ყველგან და ყველაფერში წარმატებას მიაღწია.

რა თქმა უნდა, იგი არ არის ქარიზმული ლიდერი, მაგრამ სახელი გაითქვა თავისი მონუმენტური კარიერის ყოველ საფეხურზე. საბჭოთა კავშირის დროს მილიციის უფროსად, რაიალმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. მაშასადამე, ახლა დაიბრუნა ის, რითაც დაიწყო. როგორც იტყვიან, პატივისა და დიდების წრე შემოხაზა. აი, სახელი და დიდება კი ბატონ ბდოიანს მეტად სპეციფიკური აღმოაჩნდა.

– ყველა თანამდებობაზე მხოლოდ ძარცვა-გლეჯვას ეწეოდა, დააგროვა კიდეც ურიცხვი ქონება, – თქვა ხანჭალის საკრებულოს თავმჯდომარემ რ. მგდესიანმა. – რაიაღმასკომის თავმჯდომარე რომ იყო, ჯერ კიდევ მაშინ მიითვისა ყოფილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საქონელი, დიდი ფერმა, ასობით ჰექტარი მიწა. მერე გახსნა ორი ქარხანა. ერთი სასახლე აიშენა ნინოწმინდაში, მეორე – ერევანში. იქვე აქვს ბინა, ორი დიდი მაღაზია...

მელს ბდოიანის მითვისება-შეძენის უნარმა, ეტყობა, იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობაზე, რომ მას მხარის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თანამდებობა – ნინოწმინდის საბაჟოს პოსტი ანდეს. ბატონმა ბდოიანმაც არ გაუცრუა იმედი უფროსობას, გაამართლა ესოდენ დიდი ნდობა. მთელი ათი წელი საკუთარი ბოქლომით ჰქონდა ჩაკეტილი საქართველოს სამხრეთის ეკონომიკური საზღვარი, რომელსაც საკუთარივე გასაღებით აღებდა. ეს, ალბათ, ხელმძღვანელ პოსტზე დამოუკიდებლად მუშაობის აბსოლუტური რეკორდია საბაჟო სისტემაში. ეს ფაქტი უკვე იმაზე მეტყველებს, რომ წინა რეჟიმის მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელები მას არათუ სრულ, არამედ განსაკუთრებულ ნდობას უცხადებდნენ. მაგრამ ნდობა ყოველდღე უნდა გაემართლებინა და ბატონმა ბდოიანმა, რომელმაც „სწორი“ ორიენტაცია აირჩია, შექმნა კონტრაბანდის საიმედო, სტაბილური სისტემა.

– მთელი ათი წლის განმავლობაში, – თქვა ნინოწმინდის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსმა ლიპარიტ კუიუმჩიანმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაათავისუფლეს თანამდებობიდან გამგეობის საკადრო პოლიტიკის კრიტიკის გამო, ნინოწმინდის საბაჟოს გავლით სომხეთში კონტრაბანდის სახით იგზავნებოდა წელიწადში 50-70 ათასი კუბური მეტრი ხეტყე. საქართველოში ამის კვალი კი არ რჩებოდა, სამაგიეროდ ფიქსირდებოდა სომხეთში.

მაგრამ მელს ბდოიანი მარტო ხეტყით როდი იფარგლებოდა. იგი თავდაუზოგავად შრომობდა საკონტრაბანდო ასორტიმენტის გასაფართოებლად. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ უმართლებდა, ხელიც მოსცარვია, ეს გასაგებიცაა: არ იყო თანხმობა ხელისუფლების ზედა ეშელონებში, გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს ყოველი მსუყე ლუკმისთვის. რიკოშეტით ბდოიანსაც ხვდებოდა. 2001 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ნინოწმინდის საბაჟოთი ყავისა და პარფიუმერიის კონტრაბანდულად გატანის ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ გადარჩნენ, საქმე მიაჩუმათეს. ბდოიანს ერთი დიდი უსიამოვნებაც შეემთხვა: ამოტივტივდა რომელიღაც „არგოსა“ და აგრომრეწვბანკის ნინოწმინდის ფილიალის მეშვეობით 800 ათასი ლარის ლეგალურობის დანაშაულებრივი სქემა. კვლავაც სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა საბაჟო, რომელსაც ბდოიანი ხელმძღვანელობდა. სისხლის სამართლის საქმეს, როგორც ხდება ხოლმე, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოს შორის აბურთავებენ. მაგრამ საქმე ისევ მიაფუჩეჩეს. ბოლოს და ბოლოს კომპრომატი შორს გადამალეს, ნინოწმინდის სასამართლოში, სადაც იგი დღემდე „მწიფდება“. 2001-2002 წლებში ირანიდან სომხეთის გავლით საქართველოში ტრანზიტით შემოვიდა 2000 ტონაზე მეტი საწვავ-საპოხი მასალა. სომხეთის საბაჟომ, როგორც აღმოჩნდა, ტვირთი დააფიქსირა, ნინოწმინდის საბაჟოზე კი იგი უკვალოდ გაქრა. საქმე კვლავ გახმაურდა, ისევ ბევრი ინერვიულა ამის გამო ბატონმა ბდოიანმა.

მაგრამ ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ხარვეზია, როდესაც ასეთ დიდ საქმეებს ატრიალებ. სასიამოვნო ამბები ბატონ ბდოიანს გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე უსიამოვნო. პოლიტიკური ტრიუმფების მომენტებიც კი განუცდია თავის კარიერაში ბატონ ბდოიანს. 1995 წელს ერთგული სამსახურისთვის მას ნება დართეს, გამხდარიყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. თავად დეპუტატობის ფაქტი ბდოიანისთვის დიდად ვერაფერი ბედენა იყო. ეს, როგორც ჩანს, ესმოდათ მის მაღალჩინოსან მფარველებს. ამიტომ ბდოიანის დამსახურება განსაკუთრებული ჯილდოთი აღინიშნა. იმ ჯილდოთი, რომლითაც ბატონი ბდოიანი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში შევიდა: ბდოიანს ნება დართეს, ერთდროულად შეესრულებინა დეპუტატის უფლებამოსილებები და ეხელმძღვანელა ნინოწმინდის საბაჟოსთვისაც (?!) ამით იგი გაუტოლდა თვით აჭარის მთავარს ასლან აბაშიძეს, რომელიც ასევე უთავსებდა ერთმანეთს ორ სინეკურას და ახლა ასეთ კაცს ბრალად სდებენ თვითმარქვიობას და რაიონში ხელისუფლების უზურპაციას? ღირებულებათა ახლანდელი სისტემით ეს ბრწყინვალე კარიერაა, რომელიც რეკორდს რეკორდამდე ამყარებს.

ძნელი სათქმელია, რას ფიქრობენ ამის თაობაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალი ხელმძღვანელები. ნახევარი წელია, თითქოსდა გაშეშებულები ადევნებდნენ თვალს, როგორ ენერგიულად ხელმძღვანელობს რაიონს ბატონი ბდოიანი, რომელიც ძირითად თანამდებობებზე ნიშნავს ნათესავებს და მეგობრებს. იზრდება, ძალას იკრებს ბდოიანის კლანი. კიდევ ცოტა „საორგანიზაციო“ ძალისხმევაც და, მელს ბდოიანს თავისუფლად შეუძლია გამოაცხადოს ნინოწმინდის რაიონი საკუთარ სამემკვიდრეო ფეოდალურ მამულად.

– წინა რაიონულ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან სერიოზული პრეტენზიები გვქონდა, მაგრამ ახლანდელმა, უბრალოდ, ცინიზმის ყველა რეკორდი მოხსნა. ბდოიანი ოდიოზური, რაიონისთვის მიუღებელი ფიგურაა, – თქვა ნინოწმინდის რაიონული და საქალაქო საკრებულოს სპიკერმა გ. ღარსლიანმა. არ შეიძლება ასე გამოწვევა ესროლო მოსახლეობას, რომელიც დღედაღამ იმ საზრუნავით არის შეპყრობილი, თუ რა მოიმოქმედოს ლუკმაპურის საშოვნელად. იმიტომაც გამოდის ხალხი საპროტესტო მიტინგებზე, ხელს აწერენ პეტიციებს. თითქოს ვიღაც სპეციალურად აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ გააძლიეროს უკმაყოფილება, პროვოკაციულად გამოიწვიოს უწესრიგობა.

როდესაც ხედავ, თუ როგორ თავდაჯერებით იღვწის ბატონი ბდოიანი კიდევ ერთი პოლიტიკური რეკორდის დასამყარებლად, სხვადასხვა ვარაუდი გიჩნდება. მაგალითად, უკვე ეჭვობ, რომ ლურსმანი, რომლითაც ბდოიანმა საკუთარი თავისთვის ხელისუფლების კარი გახსნა, ჟანგიანი კი არა, ოქროსი ყოფილა....

**ამირან მგელაძე,**
**ვაჟა კელეურიძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების ეროვნული სააგენტო.**

**P. S. თუმცა, ბატონი მელს ბდოიანი ყველაფერში როდი ეთანხმება ჟურნალისტური გამოძიების ეროვნულ სააგენტოს. მან მის წევრებს განუმარტა, რომ იგი გამგებლის მოადგილედ კანონიერად დაინიშნა.**

**რაც შეეხება მელს ბდოიანის ხელმძღვანელობის პერიოდში ნინოწმინდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გამოვლენილ კონტრაბანდის ფაქტებს, არც ერთ ასეთ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში იგი თავის მონაწილეობას არ ადასტურებს. უფრო მეტიც, მ. ბდოიანი აღნიშნავს, რომ მის პერიოდში სამართალდამცავ ორგანოებს ნინოწმინდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ.**

**აშოცკ-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას სომხეთიდან სამშენებლო დანადგარების – მაღალი ძაბვის ანძის მოწყობილობათა უკანონოდ შემოტანის ფაქტებთან დაკავშირებით კი მან საბაჟო გამშვები პუნქტის ბრალეულობა კატეგორიულად გამორიცხა. ამავე დროს მ. ბდოიანმა არ უარყო, რომ აშოცკ-ნინოწმინდის მშენებლობის დროს მუშაობდა ამ საბაჟო გამშვები პუნქტის ხელმძღვანელად.**

**ა. მ; ვ. კ; თ. ჩ.**

⊙ ინფორმაცია

## აღდგება რკინიგზა აფხაზეთში?

**რუსეთის** ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი დღეს კრასნოდარში, ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სამმართველოს სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებთან, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხებს განიხილავს.

ლევიტინის განცხადებით, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენასთან დაკავშირებით ყველა სამართლებრივი საკითხი გარკვეულია და ახლა ტექნიკური საკითხების მოგვარებაღაა საჭირო.

აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე მიმოსვლის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ვლადიმერ პუტინმა და ედუარდ შევარდნაძემ 2003 წლის 7 მარტს სოჭში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს.

სოჭის შეთანხმების მიუხედავად, ქართულ-რუსულ-აფხაზურ ერთობლივ სამთავრობო კომისიას, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მექანიზმებთან დაკავშირებით ერთიანი და შეთანხმებული გადაწყვეტილებები ჯერჯერობით არ მიუღია.

## ვის წინააღმდეგ წვრთნიან რუსები აფხაზებს?

**რუსი** ინსტრუქტორები გუდაუთის ბაზაზე აფხაზ სამხედრო მფრინავთა ჯგუფს ამზადებენ.

სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის უწყებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქტორების მონაწილეობით აფხაზ მფრინავთა მომზადება გუშინ გუდაუთის სამხედრო ბაზაზე დაიწყო.

იმავე წყაროს ცნობით, აფხაზ მფრინავთა ჯგუფმა ავიაგამანადგურებლების მართვისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და ფრენის პრაქტიკა რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე მიიღეს და ამჟამად საფრენოსნო ხელოვნებას „აფხაზეთის ცაში“ ხვეწენ. გუშინ და დღეს ამავე სწავლების ფარგლებში გუდაუთის სამხედრო ბაზიდან 15-მდე საწვრთნელი გაფრენა განხორციელდა.

## მუზეუმის ექსპონატები – სარესტავრაციოდ გერმანიაში



**შალვა ამირანაშვილის** სახელობის ხელოვნების მუზეუმის ორი ცნობილი ექსპონატი, ლუკას კრანახ უფროსის „მაჭანკალი“ და იაკობ ვან რეისდალის „პეიზაჟი“ სარესტავრაციოდ გერმანიაში გაიგზავნება.

როგორც გუშინ ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, კულტურის სამინისტროსა და გერმანიის რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის ურთიერთშეთანხმებით, ექსპონატები გერმანიის ქალაქ ჰამბურგის „ხელოვნების სახლში“ გაიგზავნება.

გერმანელ რესტავრატორებთან ერთად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორები ნანა მანაგაძე და ეველინა ქარსელი ნამუშევრების რეაბილიტაციაზე რვა თვე იმუშავებენ.

## სანიტარიული პასპორტიც უქმდება

**სანიტარიული** ინსპექციის 63 მაკონტროლებელი ორგანო უახლოეს მომავალში გაერთიანდება და ერთ უწყებად ჩამოყალიბდება. ამის შესახებ დღეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა განაცხადა.

როგორც მესხიშვილი აცხადებს, ამიერიდან სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია გაამკაცრებს კონტროლს მხოლოდ წყალზე, სასწავლო დაწესებულებების კვების ობიექტებზე, მაქსიმალური ყურადღება გამახვილდება აგრარული ბაზრების მოწყობაზე. ამასთანავე, გაძლიერდება საზღვრის საკარანტინო სამსახურები, რომლებიც შეითავსებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანიტარიული ინსპექციის ფუნქციას და მოქალაქეებზე დაკვირვებასთან ერთად, პროდუქტის კონტროლსაც განახორციელებენ. გაუქმდება სანიტარიული პასპორტი, რომელიც ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებისთვის იყო საჭირო.

## 15 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი

**ფინანსური** პოლიციის სამეგრელოს ოპერატიულმა სამმართველომ წუხელ, გვიან ღამით, აფხაზეთიდან გადმოტანილი დაახლოებით 15 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღო.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, კონტრაბანდული საქონლის ამოღების ოპერაცია სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებით განხორციელდა.

სამართალდამცველებმა უაქციზო სიგარეტი ენგურის პირას მდებარე ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში, დევნილთა საერთო საცხოვრებელთან არსებულ ნანგრევებში ამოიღეს.

## 20 წლის თურქი პარიზში ვერ გაფრინდა

**საქართველოს** სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

შს სამინისტროს ცნობით, 20 წლის აქიოლ ტაშკინმა 31 მარტს თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არალეგალურად გადმოკვეთა, ხოლო 11 აპრილს იგი ყალბი პასპორტის გამოყენებით თბილისის აეროპორტიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტაშკინს „თბილისი-პარიზის“ ავიარეისით გაფრენის საშუალება არ მისცეს. ტაშკინის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე შსს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეგზავნა.

**ინტერ-პრესი.**

# ჩემი თანამგზავრი ბიბლია და მშობლიური ლიტერატურაა

გესაუბრება ლაშა გვასალია



**დაიბადა 1972 წელს, ხობის რაიონში. ლექსების წერა ცხრა წლიდან დაიწყო.**

**მიღებული აქვს საუნივერსიტეტო განათლება. 1982 წელს გამოსცა ლექსების კრებული „გზა“, 2004 წელს – ნოველებისა და მოთხრობების კრებული „ყველაფერსა და არაფერს შუა“.**

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობის დაწყებამდე რედაქტორობდა ლიტერატურულ გაზეთ „მაფშალიას“, ხელმძღვანელობდა „თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანებას“.**

**გამოსაცემად მზად აქვს ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებების კრებულები. მუშაობს რომანზე „ცოტნე“.**

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ ყველაზე არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

■ ლიტერატურული პროცესები ისე მიმდინარეობს, როგორც ამას კანონზომიერება მოითხოვს. ქართულ სიტყვასა და გენს, ნიჭსა და მიზანსწრაფვას ვერაფერი შეაჩერებს.

მრავალი წუხს, ამდენი ლექსის მწერალი საიდან მოვიდაო? ნუ გვავიწყდება, რომ საქართველო ვეფხის ტყავზე წევს და ამ საოცარ ქვეყანაში ლექსის წერა რა გასაკვირია? ხოლო რომელი წერს ღირებულს, ნაკლებად ღირებულსა და ა. შ. ამას მკითხველი და დრო განსჯის. ქურდების, ტერორისტების, უღმერთოებისა და ყაჩაღების მომრავლებას, ვფიქრობ, ბევრად სჯობს ლექსის მწერალთა მომრავლება...

■ ბიზნესი, კომერცია ფულის კეთების ხელოვნებაა. იმ ქვეყანაში, სადაც წიგნი გადაქცეულია კომერციისა და ბიზნესის საგნად, თავისთავად იგულისხმება, რომ უყვართ, სჭირდებათ წიგნი, ანუ წიგნიერი საზოგადოება. ინტელექტუალური ძალისხმევა ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს წარმოშობს.

ღმერთმა ინებოს, ამ მეტად მნიშვნელოვანმა საგამომცემლო ინდუსტრიამ ჩვენშიც მყარად მოიკიდოს ფეხი, მწერალსაც ეშველება და, შესაბამისად, სამწერლო დონეც ამაღლდება.

ნიჭიერებით დაწერილ ქმნილებას მკითხველი ყოველთვის ეყოლება, მერწმუნეთ: ყლარტა-ყლურტა მწერლები საპნის ბუშტებივით გასკდებიან და გაქრებიან. ჭეშმარიტ ხელოვნებას მოწყურებული და დაქიმითებული მკითხველი თვალდახუჭულიც მოძებნის ღირებულსა და გულსა შინა ჩამწვდენ ქმნილებებს, რომელთა შექმნაშიც უფლის ხელი იქნება გარეული, თორემ უღმერთოდ ქმნილი ყოველივე ბოროტება და არარაობაა!

■ ყველაზე მტკივნეული და არსებითი პრობლემა ჩვენთვის ეროვნული უთანხმოებაა, რომელიც დღემუდამ აწუხებდა ჩვენს ქვეყანას. თუ უფლის შეწევნით ეროვნულ თანხმობას მივაღწიეთ, იგულისხმეთ, რომ ყველა პრობლემა, რომელიც ასე აწუხებს საქართველოს, ადვილად მოგვარდება. ჩვენისთანა მდიდარი ქვეყანა – ცითა და წყლით, ჰაერითა და მიწით, ნიჭიერი ადამიანებით, მეტად იშვიათია!..

■ ვაფასებ და მიყვარს აკუტაგავა რიუნოსკე, ბორხესი, მარკესი, უბრალოებით ცამდე ასული ჰემინგუეი და კიდევ მრავალი: დაწყებული ბაირონითა და ჰაინრიხ ჰაინეთი, ბოდლერითა და ედგარ ალან პოთი დამთავრებული, მაგრამ ტრადიციული მწერლობა, ქართული ლიტერატურა ჩემთვის ყველაფერია. რაც ჩემში ღვთისნიერია, მშობლიურმა მწერლობამ შემძინა. დავასახელებდი: შოთას, ტატოს, ილიას, ვაჟას, აკაკის, მიხეილ ჯავახიშვილს, ირუბაქიძეს, დიდოსტატ კონსტანტინეს, გალაკტიონს, ტიციანს, ტერენტის, პაოლოს, ლადოს... აგერ ახლახან მიცვალებულს, მზისა და მთვარის დესპანს – ჩვენს რეზო ინანიშვილს და სხვა მრავალ კალამმზიან შემოქმედს.

ჩემი თანამგზავრი ბიბლია და მშობლიური ლიტერატურაა. უდიდეს პატივს ვცემ გემოვნების უტყუარ ინდიკატორს – მაღალმხატვრულ უცხოურ ლიტერატურასაც.

■ ბავშვი უღედისრძეოდ, თხის რძითაც კი იზრდება, მაგრამ დედის რძით გაზრდილი სრულყოფილებასთან უფრო ახლოსაა, რადგანაც დედიდან პატარაში მრავალსაუკუნოვანი სამშვინველი და სიჯანსაღე გადადის. ასეა ენის შემთხვევაშიც, ენა ზრდის, ადამიანს აჯანსაღებს, მით უფრო სიტყვას შეჭიდებულ ადამიანს. პირდაპირ ვიტყვი, არ მიყვარს ბორის აკუნინი, „მალიშით“ გაზრდილი ბავშვივით არაჯანსაღი მგონია.

საოცარი მასწავლებელი მყავდა, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსთველოლოგი, ბრწყინვალე მოქართულე და ქართული ენისა და სიტყვის ძილმიუკარები მცველი და ჭირისუფალი გაიოზ იმედაშვილი. ბატონ გაიოზს მეტყველებისას ერთი უცხო სიტყვა არ წამოსცდებოდა.

ენით იქმნება ლიტერატურა, პოეზია, პროზა, სიმღერა, საგალობელი... ენა ღმერთია და რასაც ნიშნავს მისი შეურაცხყოფა და წაბილწვა, კარგად მოგეხსენებათ!

■ ვმუშაობ ნოველების ახალ ციკლზე: „სიკვდილმა სიცოცხლე შეიყვარა!“

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

ლაშა გვასალია

# ყველაფერსა და არაფერს შუა

დღეს მართლაც რიგიანად დავნაყრდი. ყველაფერთან ერთად ღვინოც კარგი ჰქონდათ დალოცვილებს. რაც მართალია, მართალია, ფულიანები რომ არ იყვნენ, უქონლებს დარჩებოდათ ქვეყანა და რა გვეშველებოდა მე და ჩემნაირად გაძვალტყავებულებს.

ხომ უთქვამს ჩვენს წინაპარს, – ყველა სოფელს თავისი სულელი და გიჟი სჭირდება და უხდება თანაც ძალიანო. ამით ისიც თქვა იმ დიდებულმა, სოფელმა შეინახოს უნდა სულელგიჟი და სხვისი სოფლისა და ალაგის სამათხოვრო-დასაცინად არ უნდა გახადოს, თორემ სოფელი გაილანძღება, რას იტყვიან, ერთი კაცი ვერ შეუნახავთ ამ ვითომ კაცებსო. შენ ხარ ჩემი ბატონი და სოფელი რავა გაილანძღავს თავს!

ჰოდა, თქვენი ჭირი შემეყაროს, გაიკვირვეთ, თუ გინდათ, ჩემს სოფელს ერთი გიჟი და სულელი არ დარჩა. დაწყდა სუყველა, ვინც ძველი იყო, ახალი არ დაბადებულა. არადა, როგორ გინდა იცხოვრო ამდენი განათლებული და ინტელიგენტი ხალხისაგან უზომო სიმშვიდითა და წესრიგით გადამქავებულ წუთისოფელში.

ყანა, ვენახი, ნახირი, უფერული, უგიჟო ქორწილ-ნადიმები, ზედმეტად ჩარუმებული გასვენებები. წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზორ-ვიდეოები და ყველაფერი – არაფერს გარდა. არაფერი კი საინტერესოა მეტად. ხომ გიკითხავთ ჩაფიქრებული კაცისათვის, – რაზე ფიქრობო და უთქვამს: არაფერზეო, ან, რა გინდა, და არაფერიო; ჰოდა, იმ ყველაფერს და არაფერს შუა რომ არის, ის აკლდა ჩემს სოფელს. თანაც მეტად უქონელი ოჯახის შვილი გახლდით, ლუკმა პურზე მეოცნებე ჯალაბისა.

პატარა ვიყავი, ვიფიქრე, – ავაწყობ ცხოვრებას, გავიზრდები, ოჯახს მოვეკიდები, ყანას ავამზეკაბანებ. ღვინოს ქვევრში ჩავაღურღულებ-მეთქი, მაგრამ საიდან დამეწყო ყოველმხრივ გაძვალტყავებულსა და არაფრის მქონეს, თანაც, როგორც უკვე გითხარით, სოფელს თავისი გიჟი და სულელი სჭირდება. მერმე ასეთებს ღვთისშვილებს ეძახიან ჩვენთან. სოფელიც არ გაიმეტებს საშიმშილოდ და მორჩა, რა გინდა მეტი სირცხვილიო? – კაი ახლა, თუ ღმერთი გწამთ, ჩვენი სოფლის მღვდელს თედოიას არ რცხვენია, სოფელი რომ არჩენს და ინახავს ოჯახჯალაბით ამდენი წელია და მე, გიჟსოსიას რისი უნდა მრცხვენოდეს ნეტავი!..

ცოლი და შვილიო? უჰ, მაგი არ მიხსენოთ ახლა კიდევ.

ჩემი თავი ვერ მირჩენია უსოფლოდ და ჩემი შვილი მივუწურბელო ახლა ამ ისედაც ქანცგამოცლილ ხალხს? არა, გენაცვალეთ, ჩემი შვილი რატომ უნდა გახდეს ჩემს შემდგომად სოფლის გიჟი, სხვა მხრივ, ჩემი შვილი ვერაფერი გამოვა და სჯობს სხვათა შვილებს გადავაყოლებ გულს, მათთან დავხარჯავ საშვილებო სიყვარულს და ჩემი შვილი კიდევ იყოს იქ, სადაც არის, მოლოდინში!..

პატარა საქმე არ გეგონოთ ამოდენა ამბავ-საქმის ზურგზე აკიდება. თავიდან გამიჭირდა მეტად. როგორია – არ ხარ და უნდა იყო, ისეთი და ასეთი. თანაც ვერავინ რომ ვერ მიხვდება, ისე უნდა ქნა ყოველივე.

ასე და ამგვარად გამოვეკიდე სოფელ-ქვეყანას ხან ძონძებით, ხანაც ნაჩუქარ-შენაწევი ძველმანებითა და მდიდრებისაგან გამეტებული ახალი რამერუმეებით.

მარტო თავის მოგიჟიანება რას გეყოფა კაცს, ხელიც უნდა გაუმართო, საქმეებში წაეშველო, ობოლ-ქვრივებსა და მოხუცებს იმედის გაცოცხლებაში დაეხმარო. არა, პატარა საქმე როდია, კაცო?!

– აბა იმას გამოაჯავრე, სოსია...

ვასრულებ თხოვნას.

– ხი, ხი, ხი... ხა, ხა, ხა...

– აბა ამას დასცინე. აბა, ის როგორ დააბოტებს, აბა ეს როგორ გადასძახებს თავის ცოლს ხოლმე?

მე ისევ სულელ-ვგიჟიანობ.

– ხი, ხი, ხი... ხა, ხა, ხა...

რაც მართალია, მართალია, საჭმელსასმელი არ მაკლია და სხვა რამეებიც, მარა მარტო კუჭი და ხორცი ხომ არაა კაცი?! სული! სულისა და ხორცის გასაცოდავებულ ნაწილს – გულს რა ვუყო?!

ხომ იცით, გიჟმა გიჟური სიყვარული იცისო, ნათქვამია და გულში სიცოცხლის სილამაზედ ჩავარდნილი გოგოს გიჟურად შეყვარება ვცადე. სიყვარულს ვერ მოიგონებ თურმე კაცი, ამიტომაც არ გამომივიდა და ცოტა მაშინ შეეჭვდა ხალხი.

– მაგი რაღაცეებს ხომ არ იგონებსო? – მარა, ფიქრის დასრულება არ ვაცალე, მოვიგიჟიანე ისევ თავი და დავიწყე თავ-ცხვირ-სახით სიარული ამ ჩემი ცოდვით სავსე დედამიწაზე. არადა, სიყვარულს რას უშვრები ახლა? ქვა ხომ არაა სიყვარული, უბიდან ამოიღო და მოისროლო. ანდა, პატარობას გაგონილი, ძილ-ბურანივით უღიმღამო ზღაპარი ასაკთან ერთად დაივიწყო. მარა რა გინდა რომ ქნა? ჩემი მტერი ყოფილიყოს ჩემს დღეში. ჩემს თავს ვწყევლი ისევ, სხვა ვინაა ჩემი ამ დღეში ჩამგდები და გამწვალებელი, თუ არა ჩემი უთავო თავი?!

ჩემს ქოხ-სახლში მოსვლა დედაჩემის გამო მიხარია მხოლოდ. მიმაქვს დედასთან უბით დაზოგილი რაღაც-რაღაცეები. იცის დედამ ჩემი გიჟიანობის მიზეზ-მიზანი და ეტირება სულ, ჩანაღვლიანებულ და ჩამყუდროებულ სახეზე ღიმილი არ ღირსებია ჯერაც. მარტო მასთან ვარ, რაც და როგორიც ვარ. მამის სულს გეფიცებით და დედაჩემის ფერშელახულ სილამაზეს, რომ არაფერი მიხარია უკვე.

რა ვუყო ახლა თვალთას, ჩემს გულისას, ჩემს სიყვარულს. ერთხელ ვიფიქრე, მოდი მივალ და ყველაფერს გავუმხელ, იქნებ შემიცოდოს, იქნებ გამიგოს-მეთქი, მაგრამ რომ დავუწყე საუბარი, სიცილი წასკდა, – შენ გაქრი, შენ არ დაურჩი შენს პატრონს, რეებს ბოდავო, – მითხრა და დავრჩი გიჟად ისევ. გიჟი კი სასიყვარულოდ ვის უნდა, გასართობად სჭირია ყველას და შესაქცევად. დაიწვას ჩემი გაჩენის დღე.

ყველაზე დიდი მწუხარება მამაჩემის გარდაცვალება იყო. მწუხარებისას ვერ იხელოვნებ თურმე კაცი. დღისით, სანამ მეზობლები და ახლობლები იყვნენ, სახლში აღარ მივდიოდი, ტყეში დავეხეტებოდი. ვბღაოდი, დავტიროდი ჩემს საწყალ, ცხოვრებისგან წელგაუმართავ, იღბალგაუხარელ მამას და ჩემს უგულსულო, დაუმთავრებელ, გამოგონილ ყოფას, გვიან საღამოს კი მარტოდ ვიცრემლებოდით მე და საწყალი დედაჩემი. ძლიერ გამიჭირდა მამის სიკვდილთან შეგუება. მაგრამ დრო მართლაც ყველაფრის მკურნალი ყოფილა.

მეორე უდიდესი ტკივილი მაშინ განვიცადე, ჩემი მეზობლის ბიჭი, ოცი წლის გურამი რომ ჩამოასვენეს აფხაზეთიდან, სკვითთა ნაშიერთაგან აკუწულ-დაფლეთილი. მთელი სოფლის გულანთებული ახალგაზრდობა შურისძიებით ანთებული გაემართა აფხაზეთში. მე კი, შუა გზიდან მომაბრუნეს, – გიჟს რა უნდა ომშიო!

ჯანდაბას, მოვითმენ, ყველაფერს მოვითმენ, დედის სიკვდილს კი ვერა. აი, მაშინ კი ჭკვიანად ჩამთვალონ თუგინდ, დედას მაინც ვერ მოვსცილდები, დედას სხვის იმედზე ვერ დავტოვებ.

ოჰ, ღმერთო ჩემო, ისმინე ჩემი ვედრება და ნუ წაიყვან ჩემს საცოდავ დედას ჩემზე წინ, თორემ...

ჰო, რა მომაგონდა კიდევ. არა, მართლაც ნამდვილი გიჟი ვარ. არ ვსვამდი ზომაზე მეტს, არაფერი შემამჩნიონ-მეთქი და იმ საღამოს რა ეშმაკი შემიძვრა სულში, ვერ გავიგე მაინც. დაღლილსა და გასავათებულს სასმელი მალევე მომეკიდა და ისეთ რამეებზე დავიწყე მსჯელობა, განცვიფრდა ხალხი. რაც ჩვენი სოფლის მასწავლებლის გაზეთებიდან და წიგნებიდან მალულად ამოვიკითხე, ყველაფერი დავფქვი ახლად გამართული წისქვილივით და პირდაღებულმა ჩვენმა სოფლის საკრებულოს თავმჯდომარემ მითხრა: გიჟ-სოსია, შენ ღმერთმანი იგონებ რაცხეებს, თორემ ეგეთი აზრები საიდან და როგორ მოგდისო. გამოვფხიზლდი წამსვე. ჩავიგდე ენა მუცელში და გამოვიქეცი სახლში. არა, მე გიჟი ვარ, ნამდვილი გიჟსულელი. კინაღამ ყველაფერი წყალში არ ჩავყარე. მასე ხომ არაა ამდენი ჯახირით მოპოვებული გიჟ-სოსიას სახელის დაკარგვა.

– შვილო სოსია, შენა ხარ?

– ჰო, დედა მე ვარ.

– როგორი პირი უჩანს ამინდს, შვილო?

– რა ვიცი, დედა, მგონი კარგი. ქარს ღრუბელი გადააქვს, ვარსკვლავები ჩნდებიან. ცივა თანაც. ესხერის მეორე კვირაა და კარგ დარს დაიჭერს მგონია. ზღვაურიც ჩადგა.

– გაიხარე, შვილო.

– ა, დედა, შენ ხორცი, ხაჭაპური და კიდევ რაღაცეებია გამოკრული მაგ ტილოში.

– მადლობა, შვილო.

– დედა!

– ჰო, შვილო!

– რაა ყველაფერსა და არაფერს შუა?

– ვერ გავიგე, შვილო.

– ვიცი, ვერ გაიგებ, ძნელია, ყველაფერსა და არაფერს შორის დამდლელი რაღაცეებია, მომაბეზრებელი რამეები.

– არ მესმის, ნანა.

– მე ხომ ვარ გიჟი, დედა?

– მოიცა... არ ვიცი, რას...

– ეჰ!..

# ანგელოზების ნილი...

**(მინიატიურა)**

ერთხელ, კახეთში ქეიფის დროს, ერთ ხანში შესულ თანამესუფრეს, რომელთანაც ალავერდს გადავედი, შენიშვნა მივეცი: რატომ არ ცლით ბოლომდე სასმისს-მეთქი. გაეღიმა და ნათელმოკიდებული სახით მითხრა: მწყურვალი ხომ არა ვარ, კაცოო?!

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივეცი შენიშვნა, რა თქმა უნდა, მოწიწებით და რიდით, თუმცა ღვინოც ძალობდა უკვე და სითამამეც მჭირდა.

– გითხარ, არა მწყურიან-მეთქი! – გაბრაზება შევატყვე კახელს.

– აბა, მე მწყურვალი ხომ არ გგონივართ?! – შევინაწყენიანე მეც ხმა.

– მაშ რატომ მიაკვდებიო? – უკვე გაეღიმა თანამოქეიფეს.

– წესია, ბატონო, და ტრადიციააამეთქი.

– წესი ეგ კი არა, სხვა რამეაო, – უფრო გაებადრა სახე ღვინის კაცს.

– რაა სხვა რამე? – გამიცეტდა ინტერესი.

– რა და, თუ ძაან მწყურვალი არა ხარ, ჭიქაში იმდენი ღვინო მაინც უნდა დატოვო, ანგელოზებმა ფეხის დაბანა მოახერხონო.

– ეგ როგორ-მეთქი?

– ეგრეო!

საოცარია, ამისთანებს მარტო ჩვენთან იტყვიან და აკეთებენ!..

ისე, მე ანგელოზებს როგორ არ ვეთაყვანები, მაგათი ნათელი არ მოგვკლებოდეს, მარა სასმისს მაინც ბოლომდე ვცლი, რა ვქნა, მწყურვალი ვარ, სულ მწყურვალი...

თუ ოდესმე მწყურვალი არ ვიქნები, ჯამში თუ ჭიქაში, ფიალაში თუ ჭინჭილაში ღვინოს აუცილებლად ჩავტოვებ – ანგელოზებმა ფეხი დაიბანონ!

მაგრამ სულ მწყურვალი რომ ვარ, კაცო?!

**◉ თქვენ ეს გაინტერესებთ**

# ათლარიანი ჯარიმის ნაცვლად... ათასლარიანი ზარალი?!

## მძღოლი, გზა, პატრული

**საპატრულო პოლიცია რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ მონაპოვრად ითვლება, ცხადზე უცხადესია. კარგად გაწვრთნილი, ტექნიკურად აღჭურვილი, სოლიდურად დაფინანსებული წესრიგის დამცველები, დღისით თუ ღამით, არაფერს უშინდებიან და ჩვენს სიმშვიდეს, ადრინდელზე ბევრად უკეთ დარაჯობენ. მოსახლეობაში გაჩნდა კიდეც რწმენა და იმედი. იმედმა ნდობა, პოლიციისადმი ნდობა წარმოშვა, რაიც ხალხისა და პოლიციის უკეთესი თანამშრომლობის საფუძველი უნდა გახდეს. დღეს ბევრი გაჭირვებული და დაზარალებული ურეკავს საპატრულო პოლიციას, მაგრამ... ეს მაინც ზღვაში წვეთია. ბოლო დროს ერთი შთამბეჭდავი სატელევიზიო რეკლამისა არ იყოს, სანამ ნაძირალები საკუთარ ბინას არ გაგვიქურდავენ ან მობილური ტელეფონისთვის შვილს არ მოგვიკლავენ (ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ასეთი ფაქტებიც არის), მანამ არ ვთანამშრომლობთ პოლიციასთან.**

**ამიტომაც არ კლებულობს დანაშაული. თუ კლებულობს, იმდენად უმნიშვნელოდ, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. დაბეჯითებით უნდა გავიმეოროთ, რომ საპატრულო პოლიცია, როგორც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შექმნილი წესრიგის დამცველთა არმია, ჩვენგან მეტ კონკრეტულ თანადგომას და პრაქტიკულ დახმარებას იმსახურებს.**

დღეს ერთ დელიკატურ საკითხზე უნდა გესაუბროთ, – საგზაო პატრულისა და ელემენტარული, წვრილმანი საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლების დამოკიდებულებაზე.

განვმარტოთ, რომ წვრილმან დარღვევად ითვლება ღერძულა ხაზის გადაკვეთა, საგზაო ნიშნის, აგრეთვე, გზაჯვარედინის უგულებელყოფა, როცა ამას საავარიო სიტუაცია არ მოჰყვება, დადგენილი სიჩქარის გადამეტება 10-15 კილომეტრ-საათით და ა. შ.

მსგავსი დარღვევებისთვის საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის (მოქმედებს 1997 წლის ივლისიდან) მიხედვით შესაძლებელია მძღოლს ადგილზე მიეცეს მკაცრი აღრიცხვის ქვითარი და უახლოეს ბანკში გადაიხადოს ჯარიმა 5-დან 20 ლარამდე.

რა ხდება ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე?

გაგაცნობთ რედაქციაში შემოსული რამდენიმე მძღოლის წერილს.

**ივლიანე კვირიკაშვილი, სატვირთო ავტომანქანა „სუპერმაზის“** (DBA 483) **მძღოლი:** – ფოთიდან სომხეთში მიმქონდა ტვირთი. წვრილმან დარღვევაზე ქუთაისთან ახლოს გამაჩერეს. წესით, უნდა გადამეხადა ათლარიანი ჯარიმა. საგზაო პატრულმა ჩამომართვა მართვის მოწმობა, მომცა დროებითი მოძრაობის ნებართვა და, ტრადიციისამებრ, გამაფრთხილა, – შენს „პრავას“ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიიღებო... ქართულ ენაზე შევსებული დროებითი მართვის ნებართვის ფურცლით, აბა, სომხეთში ვინ გამიშვებდა. რამდენიმე დღე ვიწვალე, რომ სანდო მძღოლი მეპოვნა, ტვირთი მის მანქანაზე გადამეწყო და სომხეთში გამემგზავრებინა. ტვირთის პატრონისთვის, რა თქმა უნდა, დრო ფული ღირს და ამ ფულის გადახდა მე მომიწია. ეს ერთი ათლარიანი დარღვევა ათას ლარზე მეტი დამიჯდა.

**ზურაბ შეყილაძე, „მერსედესის“ ფირმის სატვირთო მანქანის მძღოლი:** – ჩემი „ტრალერით“ ეგრეთ წოდებული სატრანზიტო, განბაჟებული ტვირთი მიმქონდა ერევანში. ცენტრალურ მაგისტრალზე გამაჩერეს. საგზაო წესების დარღვევისთვის, მაქსიმუმ ოცლარიანი ჯარიმა მეკუთვნოდა. მითხრეს, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის მითითებით, ჯარიმას ვერ გამოგიწერთო და მართვის მოწმობა ჩამომართვეს. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა... იძულებული გავხდი სხვა მანქანა დამექირავებინა და ზედმეტი ხარჯი გამეწია. გამაგებინეთ, რა ხდება?

**ივიკო ყანჩაველი, მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი:** – ამას წინათ ჩეხეთში მივფრინავდი. აეროპორტის ტრასაზე ოდნავ გადაჭარბებული სიჩქარისთვის გამაჩერეს და „პრავა“ ჩამომართვეს. პატრული ვერაფრით დავარწმუნე, რომ მართვის მოწმობა ევროპაშიც მჭირდებოდა (თითქმის ყველა ქვეყანაში დამკვიდრებული წესია, რომ მანქანას გარკვეული დროით დაიქირავებ და იმოძრავებ), ნერვებიც მომიშალეს და კანონიც დაარღვიეს. მძღოლთა უფლებების ასე აბუჩად აგდება განა შეიძლება?

მეტს ნუღარ გავაგრძელებთ. მოძრაობის წესების „მსუბუქად“ დამრღვევი მძღოლების გულისტკივილი დღესავით ნათელია. მკითხველს მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ დღევანდელ საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი მანქანა და ამდენივე (თუ მეტი არა!) მძღოლია. სამწუხაროდ, მძღოლთა პროფესიონალიზმი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოძრაობის წესების დარღვევის მოწმენი ვართ. როგორც აქ მოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, არღვევენ არა ოდენ გამოუცდელი, ახალბედა მძღოლები, არამედ სატვირთო, მძიმეწონიანი, ოჯახის მარჩენალი მანქანების მძღოლებიც.



თანაც, მოდი და ზუსტად განსაზღვრე, – „მსუბუქი“, ათლარიანი, თხუთმეტლარიანი, ოცლარიანი იყო კონკრეტული დარღვევა თუ უფრო სერიოზული და სახიფათო?

ეს პრობლემის ერთი მხარეა და უთუოდ დამაფიქრებელი.

მაგრამ, კიდევ უფრო გლობალურ პრობლემად წარმოჩინდა მძღოლთა უფლებების დაცვა და კანონით განსაზღვრული დაჯარიმების პრაქტიკის უგულებელყოფა.

აი, რა გვითხრა **საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ზურაბ მიქაძემ (ის უკვე ყოფილი უფროსია, რადგანაც გუშინ შსს კადრების სამმართველოს უფროსად დანიშნეს):**

– ვადასტურებ, რომ საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით, დროებით აიკრძალა ადგილზე დაჯარიმების პრაქტიკა. აკრძალვის მიზანია საგზაო საპატრულო პოლიციაში კორუფციის საბოლოოდ აღმოფხვრა. მოგეხსენებათ, ადრე ავტოინსპექტორებს ორლარიან და ხუთლარიან „მელოჩნიკებს“ ეძახდნენ. წლების განმავლობაში ამ მავნე პრაქტიკასშეჩვეულმა ხალხმა, როგორც კი ჩვენი საგზაო პატრულების მიერ დროებით შეჩერებული აშკარად დამრღვევი მძღოლები დაინახეს, ერთხმად ამოიგმინეს: **ხედავთ, არაფერი შეცვლილა, მძღოლსა და პატრულს შორის ისევ გარიგება ხდება!.. გვირეკავენ სამმართველოში, გვიგზავნიან ცინიზმით სავსე წერილებს, გვაფრთხილებენ.** სწორედ ამიტომ, საგზაო პატრულს ადგილზე დაჯარიმება და მკაცრი აღრიცხვის ქვითრის ამოწერა აკრძალული აქვს. თანაც, თითოეულმა მძღოლმა უნდა იცოდეს, რომ 1997 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სავალდებულო ნორმად არ ითვლება ადგილზე დაჯარიმება, ის ერთ-ერთი დამხმარე მეთოდია, მაგრამ საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების, ავტორიტეტის, ხალხის ნდობის განმტკიცების ამ ეტაპზე ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ პრობლემაზე ბევრს ვფიქრობთ. უახლოეს ხანში ძველი კანონმდებლობის დახვეწა, ალბათ, აუცილებელი გახდება. გულწრფელად ვწუხვარ, რომ აქა-იქ პროფესიონალი მძღოლები დაზარალდნენ, მაგრამ ისიც უდავოა, რომ გამოცდილ მძღოლს მოძრაობის წესების დარღვევა არ ეპატიება.

საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის განმარტების შემდეგ, ჟურნალისტური დასკვნის მაგიერ უპრიანი იქნება, მძღოლთა უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის – **„მძღოლი, გზა, სამართალი“ – პრეზიდენტს რობერტ იანტბელიძეს მოვუსმინოთ:**

– ადგილზე დაჯარიმების პრაქტიკა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. არ შეიძლება პოლიციაში კორუფციის აღმოფხვრის მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შეცვლა. პატიოსანი, ხალხის ნდობით აღსავსე პოლიციის ყოლა, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, მაგრამ თუ კარგად ჩავუფიქრდებით, ამ მეთოდით კორუფციას ბოლომდე მაინც ვერ აღმოვფხვრით, სახელმწიფო ბიუჯეტს კი სერიოზულად ვაზარალებთ. დარღვევა იმიტომ გახლავთ მსუბუქი, საშუალო ან მძიმე, რომ მძღოლი დარღვევის კატეგორიის მიხედვით დაისაჯოს. ის კი არადა, ბოლო ხანს, ნასვამ მძღოლებს, ერთმნიშვნელოვნად, – ორი წლით ართმევენ მართვის მოწმობას! ესეც არასწორია. მსუბუქი სიმთვრალის შემთხვევაში (ნაბახუსევს რომ ეძახიან), მძღოლი უნდა დაჯარიმდეს 70 ლარის ოდენობით, გაფრთხილდეს და... გზა განაგრძოს. სხვათა შორის, ჩვენს ორგანიზაციაში შემოსული საჩივრებით თუ ვიმსჯელებთ, მძღოლები თითქმის არ უარყოფენ, რომ მოძრაობის წესები დაარღვიეს, აი, იმას კი სამართლიანად აპროტესტებენ, რომ კანონი მათ საზიანოდ შეიცვალა. ვიდრე ძველი კანონმდებლობა დაიხვეწება, ჩვენ სიამოვნებით ვითანამშრომლებდით საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. მიზანი ერთია, – ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარე, ახალი საერთაშორისო ფუნქციის მქონე ქვეყნის ტრასებზე მოძრაობა კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს.

**სპარტაკ ქოზულია.**

**◉ ინფორმაცია**

## ძებნილი შაბო ნაბოევი დააკავეს

**რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტოსტოვში განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი პირი დააკავეს.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მიერ 2004 წლიდან ძებნილი 44 წლის შაბო ნაბოევი.**

**პოლიციის ინფორმაციით, ნაბოევი ეჭვმიტანილია 2004 წლის 12 მაისს ასკო მსტოიანის მკვლელობაში.**

**რუსეთის ფედერაციაში ნაბოევი მამედ ოზმანიანის სახელზე გაცემული ყალბი პასპორტით იმალებოდა. ამ დროისთვის მზადდება მასალები ნაბოევის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით.**

## სად მიჰქონდათ 300 ტონა ჯართი?

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში საპატრულო პოლიციისა და სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა დაახლოებით 300 ტონა ჯართი დააკავეს, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოჰქონდათ.**

**როგორც საპატრულო პოლიციის განყოფილების უფროსი ჯუმბერ იზორია აცხადებს, საპატრულო პოლიციამ აფხაზური სანომრე ნიშნებით ორი სატვირთო ავტომანქანის ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადმოსვლის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიიღო და შემთხვევის ადგილზე გავიდა.**

## ხანძარი — პლანტაციაში

**ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათის ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციებს ხანძარი გაუჩნდა, რის შედეგადაც დაახლოებით 10 ჰექტარზე გაშენებული ჩაის ბუჩქები განადგურდა.**

**შემთხვევის ადგილზე გუშინ სამი სახანძრო მანქანა გავიდა, თუმცა ქარის გამო ხანძარი თანდათან ძლიერდებოდა და დამატებით სახანძრო რაზმების მობილიზება გახდა საჭირო.**

**ინტერ-პრესი.**

ფუნიკულიორი — 100

# შვეიცარიელი ინჟინერი საქართველოში

## 9 აპრილს (ძვ. სტილით 27 მარტს) გაიხსნა ფუნიკულიორი

**ამ ფაქტის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. დღეს გთავაზობთ ახალ მასალას, რომელიც ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა მოგვაწოდა.**

საქართველო-შვეიცარიის ურთიერთობის საინტერესო ფურცელია შვეიცარიელი ინჟინრის ბლოშოს საქართველოში მოღვაწეობის ამბავი.

1887 წელს თბილისში ძალზე აქტუალური საკითხი დაისვა — ქალაქის შენობებისა და ქუჩების ელექტროგანათება.

ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა: „ამჟამად ტფილისში იმყოფება შვეიცარიელი ინჟინერი ბატონი ბლოშო. ბლოშოს შვეიცარიაში ჰქონია მინდობილი ელექტრონით განათება. ბლოშოს განზრახვა აქვს, შეადგინოს პროექტი ტფილისის განათებისა და ის საშუალებებიც დაასახელოს, რა საშუალებითაც შეიძლება მოხდეს ეს საქმე“. როგორც ჩანს, ამ ინჟინერს შვეიცარიაში უკვე მიღებული ჰქონდა ელექტროგანათების გამოცდილება.

ცოტა ხნის შემდეგ „ივერიაში“ ასეთი ცნობაც დაიბეჭდა: „ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ ამბავი ქართული თეატრის განათებაზე ელექტრონის სინათლით. ჩვენ დღეს შევიტყვეთ, რომ ამ საქმის იჯარადმა, ბატონმა ბლოშომ, დაიბარა მცოდნე მეხანიკოსი, რომელიც უკვე გამომგზავრებულია შვეიცარიიდამ ჩვენსკენა ხსენებული საქმის დაწყებისათვის“.

„ივერია“, 4 დეკემბერი, 1887 წ.

„სხვადასხვა ხიფათის ასაცილებლად, თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად აუწყებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომლის უმთავრეს ნაწილს არა ჰქონია შემთხვევა ელექტრონის სინათლის ნახვისა, რომ ელექტრო დენის სინათლე შესაძლოა უცებ ჩაქრეს მცირე ხნობით და რამდენიმე წუთის შემდეგ გაცხოველდეს. ამის გარდა, თეატრის ადმინისტრაცია ვალად რაცხს დაუმატოს, რომ ელექტრონით განათების გამო არას გზით ცეცხლი არ გაჩნდება“.

გავიდა 5 წელიწადი. როგორც ჩანს, შვეიცარიელი ინჟინერი ისევ თბილისშია და ახლა თბილისის მაღაზიების განათებას იწყებს.

1892 წლის „ივერია“, №32.

„7 თებერვლიდან ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, მაღაზიებს ანათებს ბლოშოსა და ამხ. ფირმა. მაღაზიის განათებაში ფირმა იღებს მცირე ფასს, თვეში 3 მანეთს. ამბობენ, რომ ტფილისის სხვა ქუჩებზედაც სურთ მაღაზიების პატრონებს ელექტრონით გაანათონ თავიანთი მაღაზიებიო“.

### თბილისის ფუნიკულიორი

**შვეიცარიელი ინჟინრის ბლოშოს სახელი დაკავშირებულია თბილისის ფუნიკულიორის მშენებლობასთან.**

1905 წელი. გაზეთმა „ივერიამ“ (№1) თავის მკითხველს აცნობა: „ტფილისის ფუნიკულიორი თითქმის მზად არის, გამართულია სადგურები, დაგებულია რელსები და დაყენებულია სამოძრაოდ მეტად კოპწია ვაგონები. ვაგონების მოძრაობა დაიწყება კვირას, 2 იანვარს. 1905 წელს. ვაგონებს ავტომატური მანქანები აქვს, რომლის მეშვეობითაც ყოველ წუთს შეიძლება ვაგონის გაჩერება, თუნდ თოკი, რომელიც ვაგონს იჭერს, გაწყდეს კიდეც, ასე რომ მოძრაობის დროს არავითარი შიში არ არის მოსალოდნელი“.



ფუნიკულიორი XX საუკუნის დასაწყისში.



11 იანვარი. „ფუნიკულიორი. მამა დავითის მთაზედ ფუნიკულიორის მოწყობის საქმე უკვე მთავრდება. ამ იანვრის შუა რიცხვებში დანიშნულია ვაგონების გამოცდა. ვაგონების გამოცდის შემდეგ მოწყობილობას დაათვალიერებს ტფ. გუბერნატორისაგან დანიშნული განსაკუთრებული კომისია, ინჟინერთა, ელექტროტექნიკთა და ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის წარმომადგენლებისაგან შემდგარი. ფუნიკულიორის მოქმედების დაწყება განზრახულია მარტის მეორე ნახევარში“.

20 თებერვალი. „გუშინ, 19 თებერვალს, ფუნიკულიორის საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის გამგეობას შეამოწმონ აშენებული ლიანდაგი ტექნიკურად“.

25 თებერვალი. „როგორც კომისია მოწმობს, ვაგონს ასვლა-ჩამოსვლაში ექვს-ექვსი წუთი სჭირდება. გზაში ვაგონების შესაჩერებელი მანქანაც, — ტორმოზები მოუწონებია კომისიას. დაქანებული მანქანა საჟენ-ნახევარზე შეუჩერებიათ უცბათ. ვაგონში მოთავსდება 50 კაცი. ფასი ასვლა-ჩამოსვლის 20 კაპ. დაუწესებიათ“.

1. მარტი. „მამა-დავითის მთაზე ამყვანმა საზოგადობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ფუნიკულიორი სრულებითაც მზად არის და დღეს, 1 მარტს, დაიწყებს წესიერ მიმოსვლას“.

ასე ვერ მოხდა. გაზეთ „კავკაზის“ მიხედვით (18 მარტი) ვაგონების მოძრაობა წმინდა დავითის მთაზე დაიწყებოდა კვირას, 20 მარტს, მაგრამ 19 მარტს, ამავე გაზეთში გახსნის დღედ უკვე 27 მარტი გამოცხადდა.

27 მარტი. „ელექტრული ფუნიკულიორის გახსნა წმ. დავითის მთაზე შედგება დღეს, 27 მარტს, დილის 10 საათზე. ზედა და ქვედა სადგურებში წირვა და ვაგონების მოძრაობის გახსნა მოხდება. ფუნიკულიორის მუშაობა პუბლიკისთვის გაიხსნება 2 საათიდან, მანამდე კი ვაგონები განკუთვნილი იქნებიან მოწვეული პირებისათვის“.

და, მართლაც, თბილისის ფუნიკულიორის საზეიმო გახსნა 1905 წლის 27 მარტს შედგა. გაზეთი „კავკაზი“ წერდა, რომ ორივე სადგურები დროშებით იყო მორთული. დილის 10 საათისთვის ფუნიკულიორის ქვედა დარბაზში თავი მოიყარეს დაპატიჟებულმა პირებმა. მოვიდნენ ქალაქის თავი, გამგეობის წევრი, სხვადასხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. კურთხევის დაწყების წინ საზეიმო ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვა მამა დავითის ეკლესიის მღვდელმა ო. მაჭარაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ფუნიკულიორის თაოსნებს და მშენებლებს. კურთხევის შემდეგ სტუმრები ვაგონში შევიდნენ.

ვაგონის წინა ბაქანზე მოთავსდნენ ო. მაჭარაშვილი, ქალაქის თავი, ფუნიკულიორის მშენებელი ბატონი ბლოშო, ბელგიის ვიცე-კონსული ბატონი აიაზოვი და სხვები, როცა ვაგონის წინ გაჭიმული ლენტა გაიჭრა, ქალაქის თავმა თქვა: „ქალაქ ტფილისის მოსახლეობის სახელით მივესალმები ამ ბრწყინვალე წარმოებას და ვაცხადებ ტფილისის ფუნიკულიორს გახსნილად“.

გაისმა სასიგნალო ზარები და ვაგონები დაიძრა.

ამავე დროს ზედა სადგურიდან მეორე ვაგონმა დაიწყო დაშვება.

ნელა მიიწევდა ვაგონი ზევით. სტუმრების წინ იშლებოდა თბილისის და მისი გარეუბნების ლამაზი ხედი, კავკასიის მთების პანორამა და ბოლოს გამოჩნდა შორეული ყაზბეგის მოთეთრო ხილვა.

6 წუთის შემდეგ ვაგონი ზედა სადგურთან გაჩერდა.

გაისმა ერთსულოვანი „ვაშა“, მუსიკამ დაუკრა შემხვედრი მარში. შემდეგ გაისმა სიმღერა და მღვდელმა წმინდა წყლით შემოუარა სადგურს და სამანქანო განყოფილებას. სადგურის დათვალიერების შემდეგ სტუმრები ავიდნენ ზევით, მეორე სართულზე, სადაც ვრცელ დარბაზში მათ შესთავაზეს საუზმე და შამპანური, საუზმეზე წარმოითქვა სიტყვები, სადღეგრძელოები.

იმ საზეიმო დღეს მთელი დატვირთვით მუშაობდა თბილისის ფუნიკულიორი.

პეტერბურგში გამომავალი ჟურნალი „ნივა“ (1905, №38) თბილისის ფუნიკულიორის შესახებ წერდა:

— „ეს შესანიშნავი ნაგებობა მოწყობილია ცნობილი უცხოეთის ფუნიკულიორების მსგავსად. რაღაც დაახლოებით ასეთი რამ არსებობს ქვედა ნოვგოროდში, მაგრამ იქაური ფუნიკულიორი ვერ კი შეედრება წმინდა დავითის მთაზე აგებულ გზას. ამჟამად, თბილისის ფუნიკულიორი დიდი წარმატებით სარგებლობს თბილისის მცხოვრებთა შორის და წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველოს დედაქალაქი“.

დიახ, მაშინ, 1905 წელს, თბილისმა შესანიშნავი ნაგებობა მიიღო და ფუნიკულიორი ქალაქის სავიზიტო ბარათი გახდა.

თბილისის ფუნიკულიორის გახსნას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა.

1905 წლის გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№69) წერდა: „ფუნიკულიორი მოძრაობაში მოჰყავს 60-70-ძალიან გაზგენერატორს და 96 ძალის ელექტროძრავას. ყველა მანქანები დამზადებულნი არიან შვეიცარიის ქარხნებში“.

და კიდევ მნიშვნელოვანი სტრიქონები: „ფუნიკულიორის გზის პროექტი, რომელიც 1899 წელს შეიქმნა, 1900 წელს დაამტკიცა ქალაქის სათათბირომ. ფუნიკულიორი აშენდა ინჟინერ ბლოშოს მიერ“.

ამგვარად, შვეიცარიელმა ინჟინერმა არა მარტო შეადგინა ფუნიკულიორის გზის მშენებლობის პროექტი 1899 წელს, არამედ თვით ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას.

ცხადია, რომ ინჟინერი ბლოშო თავის პროექტში გაითვალისწინებდა შვეიცარიული მოწყობილობების გამოყენებას. სხვათა შორის, ფუნიკულიორის გახსნის დროს ერთი ვაგონიც შვეიცარიული წარმოებისა იყო.

### ნიკო ნიკოლაძე და თბილისის ფუნიკულიორი

**დიახ, თბილისის ფუნიკულიორი, რომელიც 1905 წლის 27 მარტს (ახალი სტილით 9 აპრილს) საზეიმოდ გაიხსნა, გარკვეულწილად დაკავშირებულია ნიკო ნიკოლაძის სახელთან.**

საქმე ის არის, რომ როცა დიდმა ნიკომ შეიტყო ფუნიკულიორის მშენებლობის შესახებ, ძალიან დაინტერესდა და დაუკავშირდა ფუნიკულიორის პროექტის ავტორს შვეიცარიელ ინჟინერ ბლოშოს.

ნიკო ნიკოლაძემ გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა ფუნიკულიორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ესტაკადისთვის საჭირო რკინაბეტონის სამუშაოების შესრულებაში. მას ასეთ საქმეში გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, თუნდაც 1884-1886 წლებში სურამის გვირაბის გაყვანისას, როცა აქ რკინა-ბეტონის დიდი სამუშაოები შესრულდა.

როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძის შეთავაზება მიიღო შვეიცარიელმა ინჟინერმა.

2003 წელს გამოცემულ „თბილისის ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ:

„ფუნიკულიორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივით მოკლე დროში შესრულდა რკინა-ბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის“. ცხადია, ნ. ნიკოლაძე არაერთხელ შეხვდებოდა ინჟინერ ბლოშოს.

ნიკო ნიკოლაძე ყველას ანცვიფრებდა გაბედული გეგმებითა და პროექტებით. საინჟინრო-ეკონომიკური სიღრმითა და სიძლიერით იგი არ ჩამოუვარდებოდა თავისი დროის მეცნიერებს და იყო ტექნიკური პროგრესის მამამთავარი საქართველოში.

**ანდრე კარბელაშვილი.**

**P. S. იმედია, თბილისის ფუნიკულიორი ახლო მომავალში აღდგება.**

ბიუჯეტს რაღა?

# გაფლანგვის უძღაბი ორნამენტი

**ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „ორნამენტისა“ და შპს „კონტრაქტმშენსერვისის“ დამფუძნებელმა გიორგი ციცქიშვილმა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ ამავე რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისათვის გამოყოფილი თანხები გაფლანგა, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში ჯერ კიდევ შარშან მიიღეს.**

როგორც ჩატარებული მოკვლევით გაირკვა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ერთ პირთან მოლაპარაკებით, 2004 წლის მარტ-ივნისის პერიოდში შპს „კონტრაქტმშენსერვისთან“ გააფორმა ხელშეკრულებები ამავე რაიონში მდებარე 21 შენობა-ნაგებობის აღდგენით სამუშაოებზე. ხელშეკრულებების თანახმად, შესასრულებელი სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ, მასალების ჩათვლით, 99.368 ლარი შეადგინა, რომელიც გამგეობამ ეტაპობრივად, მთლიანად ჩარიცხა სამშენებლო ფირმის ანგარიშზე. საზოგადოების მიერ გამგეობაში წარდგენილი დოკუმენტაციით მან ეს თანხა სრულად აითვისა.

თავის ახსნა-განმარტებაში შპს „კონტრაქტმშენსერვისის“ დამფუძნებელმა გიორგი ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ მშენებლობისათვის საჭირო მასალებს იგი ბაზრობაზე იძენდა, დოკუმენტებს კი ბუღალტერიაში აბარებდა, სადაც თანხებს ჩამოწერდნენ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შპს „საქექსპერტიზის“ სპეციალისტის 2004 წლის 13 სექტემბრის № 1562 ცნობაში მითითებულია, რომ შესრულებული სამუშაოს აქტებით (ფორმა № 2) ნაჩვენები შესრულება შეესაბამება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ საერთო ღირებულებას, ხოლო ობიექტებზე ნორმატივით განსაზღვრული სამშენებლო მასალების ღირებულება, რომელიც 63764 ლარს შეადგენს, არ შეესაბამება შპს „კონტრაქტმშენსერვისის“ მიერ სასაქონლო ზედნადების თანახმად შეძენილი მასალების ღირებულებას (82053 ლარს). მათ შორის დადგენილია სხვაობა მშენებელი ფირმის სასარგებლოდ — 18289 ლარი.

რაც შეეხება შპს „ორნამენტს“, მან იმავე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან, ასევე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2004 წლის ივნისივლისში გააფორმა ხელშეკრულება მარჯანიშვილის ქუჩა 2/4-ში მდებარე შენობის ფასადის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებისთვის.

მარჯანიშვილის მოედანმა, თავის დროზე თბილისის ცენტრში ამ ერთერთმა მყუდრო და ლამაზმა ადგილმა, ახლა ბაზრობას რომ დაემსგავსა, მართლაც, რომ იტყვიან, „თვალში გამოიხედა“, თუმცა...

ისევე, როგორც „კონტრაქტმშენსერვისის“, ასევე შპს „ორნამენტის“ დამფუძნებელმა გიორგი ციცქიშვილმა ახსნაგანმარტებაში იგივე მიუთითა, რაც წინა შემთხვევაში — სამუშაოებისთვის საჭირო მასალებს ბაზრობაზე ვყიდულობდი, დოკუმენტებს ბუღალტერიაში ვაბარებდი და თანხების ჩამოწერაც იქ ხდებოდაო. ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ, მასალების ჩათვლით, 64 800 ლარი შეადგინა, რომელიც გამგეობამ შპს „ორნამენტის“ ანგარიშზე მთლიანად გადარიცხა, ხოლო საზოგადოებამ, თავის მხრივ, გამგეობაში წარდგენილი დოკუმენტებით ეს თანხა სრულად აითვისა.

ამავე დროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის შპს „საქექსპერტიზის“ სპეციალისტის 2004 წლის 13 სექტემბრის № 1563 ცნობით გაირკვა, რომ ფორმა № 2-ით (შესრულების აქტით) ნაჩვენები შესრულება კი შეესაბამება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ ღირებულებას, მაგრამ ობიექტზე ნორმატივით განსაზღვრული სამშენებლო მასალების ღირებულება, რომელიც 37 692 ლარს შეადგენს, არ შეესაბამება შპს „ორნამენტის“ მიერ სასაქონლო ზედნადების თანახმად თითქოსდა შეძენილი მასალების ფასს, 51895 ლარს. ამ შემთხვევაშიც, ცხადია, სხვაობა — 14203 ლარი — სამშენებლო ფირმის „სასარგებლოდაა“.

მოკვლევით დადგინდა ისიც, რომ შპს „კონტრაქტმშენსერვისი“ საგადასახადო ინსპექციაში, როგორც დღგ-ს გადამხდელი, აღრიცხვაზე არ დგას. ამიტომ, როცა მისი ბრუნვა 100 ათას ლარს მიუახლოვდა, საზოგადოების დამფუძნებელმა გ. ციცქიშვილმა ახალი სამშენებლო ფირმა — შპს „ორნამენტი“ ჩამოაყალიბა და შპს „კონტრაქტმშენსერვისის“ საქმიანობა დროებით შეაჩერა. ყველაფერი კი იმისთვის გაკეთდა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი არ გადაეხადა.

გარდა ამისა, შპს „კონტრაქტმშენსერვისის“ და შპს „ორნამენტის“ დირექტორის გ. მონასელიძისა და მათი დამფუძნებლის გ. ციცქიშვილის ახსნაგანმარტებებიდან გაირკვა, რომ საზოგადოებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას ეს უკანასკნელი განაგებდა.

ამრიგად, მოკვლევამ დაადგინა, რომ ორივე სამშენებლო ფირმის დამფუძნებელმა გ. ციცქიშვილმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე შენობანაგებობების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოებისთვის განკუთვნილი 32492 ათასი ლარი გაფლანგა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მის მიმართ, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

## უკრაინამ შესაძლოა ნატოში მიწვევა მიიღოს

**ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტანას ვალიონისმა განაცხადა, რომ უკრაინამ, შესაძლოა, უკვე მიმდინარე წლის დამლევამდე მიიღოს მიწვევა ნატოში.**

როგორც ვალიონისმა აღნიშნა, ვილნიუსში 21 აპრილისთვის დაგეგმილ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე „უკრაინა-ნატო“ კომისია დაამტკიცებს ალიანსთან კიევის შეერთებისთვის გამიზნული მოქმედების კონკრეტულ გეგმას.

მინისტრმა თქვა, რომ ნატოს გენერალური მდივნის დავალებით, იგი აპირებს სამიტს შესთავაზოს ბლოკის აღმოსავლური პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომლის არსია „ღია კარის პოლიტიკა“. „ვილნიუსში გაჟღერდება ასეთი პრინციპი: ვისაც სურს ნატოში შესვლა, მას შეუძლია ამის გაკეთება“, — თქვა ვალიონისმა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის კიევში ვიზიტის დროს უკრაინის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა ბორის ტარასიუკმა აღნიშნა, რომ უკრაინას აქვს ნატოსთან ინტენსიფიცირებული დიალოგის დაწყების იმედი ვილნიუსში უკრაინანატოს კომისიის სხდომაზე. ინტენსიფიცირებული დიალოგი არის ის ფორმა, რომელიც წინ უძღვის ნატოში გაწევრიანებული გეგმის განხორციელებას, მიაჩნია ტარასიუკს.

რაც შეეხება უკრაინის გაერთიანებას ევროკავშირში, როგორც მინისტრმა თქვა, „უკრაინის მეტოქეებმა უნდა განაგრძონ მუშაობა ევროკავშირში, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც დააკმაყოფილებდა მთელ ევროპას და, მათ შორის, უკრაინასაც“.

ვალიონისს კი მიაჩნია, რომ მისი მიზანია „მიაღწიოს ევროკავშირსა და უკრაინას შორის მუდმივი დიალოგის დაწყებას, რასაც უნდა მოჰყვეს უკრაინის გაწევრიანება კავშირში“.

ევროკავშირის სხდომაზე დამავალეს გავარკვიო, თუ რა სახის დახმარება სჭირდება უკრაინას, რის შემდეგაც გადაწყდება, თუ ევროკავშირის რომელ ქვეყანას რით შეეძლება დაეხმაროს მას, თქვა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რუსეთი ძალზე უარყოფითად ეკიდება უკრაინის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შენგენის სავიზო შეთანხმებასთან უკრაინის შეერთება შეადარა გერმანიის გაყოფას აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. ვალიონისი ასეთ შედარებას კატეგორიულად არ ეთანხმება.

„მეზობელი ქვეყნის ლიდერის მიერ გაკეთებულ ასეთ განცხადებებს არაფერი საერთო არა აქვს არც დემოკრატიასთან და არც ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასთან, რადგან უკრაინა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საზოგადოებას აშენებს დემოკრატიის საფუძველზე და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები უკრაინის მოქალაქეები არიან“, — თქვა მან.

## აფეთქება ამერიკელი სამხედროების დაზვერვის შტაბთან

**ერაყში ხუთშაბათს მოხდა სამი მძლავრი აფეთქება.**

ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში აფეთქდა ბომბი, რომელიც ავტომობილში იყო დადებული. ეს მოხდა ბაღდადიდან ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ თიქრითის ცენტრში მაშინ, როცა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში ჩაიარა ამერიკელთა სამხედრო პატრულმა.



ყატარის თანამგზავრული ტელეარხის „ალ-ჯაზირას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტების სამიზნე იყო ქალაქის ერთ-ერთი შენობა, რომელსაც ამერიკელი სამხედროები იყენებდნენ სადაზვერვო საქმიანობის ხელმძღვანელობის შტაბად. ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ მონაცემები თავდამსხმელთა ვინაობისა და მსხვერპლის შესახებ.

ორი მძლავრი აფეთქება მოხდა ასევე ბაღდადის ცენტრში, ეგრეთ წოდებული „მწვანე ზონის“ მახლობლად. აფეთქებების შემდეგ ატყდა სროლა. ამჟამად ადგენენ ამ ინციდენტის დაწვრილებით დეტალებს. „მწვანე ზონა“ ერაყის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე საიმედოდ დაცული რაიონია. იქ განლაგებულია სამთავრობო დაწესებულებები და უცხოეთის დიპლომატიური მისიები.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი ნავთობის ფასების შესაძლო მომატების გამო შეშფოთებულია

**ნავთობის მაღალი ფასები საფრთხეს უქმნის ეკონომიკის ზრდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხაზგასმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში.**

ამ დოკუმენტში, რომელსაც ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ აქვეყნებენ, ფონდის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მიმდინარე წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის საერთო ტემპმა შეადგინა მხოლოდ 4,3 პროცენტი, როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი 5,2 პროცენტს აღწევდა.

2006 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარება არ არის ნავარაუდევი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეშფოთებას განსაკუთრებით იწვევს ის, რომ ზრდას მსოფლიოში არათანაბარი ხასიათი აქვს — ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი მნიშვნელოვნად უსწრებენ ევროპას და იაპონიას.

ფონდი აღიარებს, რომ მოულოდნელი იყო ინდოეთისა და ჩინეთის მხრიდან ნავთობზე მოთხოვნის ასეთი მკვეთრი გადიდება, თუმცა, გამოთქვამს იმედს, რომ გაიზრდება ნავთობის მოპოვების მოცულობა.

მაგრამ ნავთობის ფასების მკვეთრმა მერყეობამ, შესაძლოა, ძალზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკის საშუალოვადიან პერსპექტივებზე, მიაჩნიათ ფონდის ეკონომისტებს.

მთლიანად კი, მსოფლიოს მასშტაბით, ფონდის პროგნოზის თანახმად, უახლოესი წლების განმავლობაში ინფლაციის დონე დაბალი დარჩება, საფონდო ბაზრები კი გაიზრდება.

## ნასას ახალი დირექტორი ჰყავს

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოიწონა მაიკლ გრიფინის დანიშვნა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ნასა) დირექტორის პოსტზე.**



სენატორებმა ვადამდე და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებას, რაც ნასას ახალ ხელმძღვანელს მისცემს იმის საშუალებას, რომ დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების ფრენის განახლებას. როგორც ცნობილია, ეს მისიები შეწყდა 2003 წლის 1 თებერვალს, როცა კატასტროფა განიცადა შატლმა „კოლუმბიამ“, რის შედეგადაც დაიღუპა ეკიპაჟის შვიდივე წევრი.

როგორც ვარაუდობენ, საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ ხომალდი „დისკავერის“ სტარტი შედგება 15 მაისიდან 3 ივნისამდე პერიოდში.

სენატში გამართულ მოსმენაზე გამოსვლისას მაიკლ გრიფინმა აღნიშნა, რომ ნასა მთავარ ძალისხმევას მოახმარს მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდებით სარგებლობის პროგრამის ეფექტიანი განახლების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მშენებლობის დასრულებისთვის საიმედო და უსაფრთხო პირობების შექმნას.

მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ სურს ორგანიზაცია გაუწიოს ასტრონავტების მისიას ამერიკულ ორბიტულ ტელესკოპ „ჰაბლისკენ“, რათა განხორციელდეს საჭირო რემონტი ტელესკოპის შემდგომი მუშაობის გახანგრძლივების მიზნით.

ნასას დირექტორად გრიფინის დანიშვნამდე აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს ხელმძღვანელობდა შონ ო'კიფი, რომელიც სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ედგა მას სათავეში. იგი ამ თანამდებობიდან გადადგა 2004 წლის 14 დეკემბერს.

## მოკლედ

**ასკარ აკაევის ქალიშვილი დაბრუნდა ყირგიზეთში, რათა გაუძღვეს ოჯახის ბიზნესს და დაიწყოს პოლიტიკური საქმიანობა. ამის გამო პროტესტის ნიშნად რამდენიმე ასეულმა ადამიანმა განახორციელა უზენაესი საბჭოს შენობის**



**პიკეტირება. ყირგიზეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ხელს არ შეუშლის ბერმეტ აკაევას პოლიტიკურ საქმიანობაში და ბიზნესის გაძღოლაში, თუმცა, მას ვერ მისცემს უშიშროების გარანტიას.**

* * *

**ავსტრიის იმპერატორის ვაჟმა ოტო ფონ ჰაბსბურგმა განაცხადა, რომ ევროკავშირში არ არის რუსეთის ადგილი, და მან პუტინი ჰიტლერს შეადარა. თანამედროვე რუსეთი თანდათანობით გარდაიქმნება „პო-**



**ლიციურ სახელმწიფოდ“ — პუტინმა და მისმა მომხრეებმა უშიშროების სამსახურებიდან უკვე ხელთ იგდეს მთელი ძალაუფლება, აღნიშნავს ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი, 92 წლის ოტო ფონ ჰაბსბურგი. ამიტომ, მიაჩნია მას, ყოვლად დაუშვებელია რუსეთის ევროკავშირში მიღება.**

* * *

**ჩეხეთის პრემიერმა სტანისლავ გროსმა ვერ შეძლო განემარტა იმ ფინანსური სახსრების წარმომავლობა, რომლებიც მისმა ოჯახმა დახარჯა ძვირფასი ბინის შესასყიდად. იგი გადადგა კორუფციაში ბრალდების გამო. ახლა ჩეხეთის მთავრობას ხელახლა ჩამოაყალიბებენ, სამაგიეროდ, საჭირო აღარ არის პარლამენტის ახალი არჩევნების გამართვა.**



* * *

**უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ პოსტიდან მისი შესაძლო გადადგომის შესახებ გავრცელებულ ხმებს „ბანალური საინფორმაციო პროვოკაცია“ უწოდა.**

**როგორც გუშინ ტიმოშენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, უკრაინაში არიან ადამიანები, რომლებიც მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე ოცნებობენ, მაგრამ მათ ოცნებას ახდენა არ უწერია. უკრაინის პრე-**



**მიერმა აღნიშნა, რომ ის და პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო „სამუდამოდ ერთიანი გუნდია“.**

**ინფორმაცია პრემიერ-მინისტრის შესაძლო გადადგომის შესახებ გუშინ „ნეზავისიმაია გაზეტამ“ უკრაინის პარლამენტის ანონიმ დეპუტატზე დაყრდნობით გაავრცელა.**

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა მადლობა გადაუხადა პაკისტანს მეზობელ ავღანეთში ამერიკელთა ანტიტერორისტული ოპერაციის მხარდაჭერისთვის და ისლამაბადს დაპირდა ფულის გამოყოფას „კანონიერი თავდაცვითი საჭიროებისთვის“.**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი №202959780, მისამართი: 380002; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. საპროექტო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

**ლოტი №1** – ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურება.

**ლოტი №2** – ქ. თბილისში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო სამკურნალო ცენტრის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურება.

**ლოტი №3** – ს/ს „ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს" ადმინისტრაციულ კორპუსში სასწრაფო დახმარების სადგურის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურება.

**ლოტი №4** – ს/ს „დედოფლისწყაროს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების" მოქმედ კორპუსში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურება.

2. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 15 დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები (დახურული კონვერტით) ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 და 30 აპრილს 10-დან 18 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 380002, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ლიცენზიას შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ბ) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ და მიმდინარე ანალოგიურ საქმიანობაზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |
| ... | | | |

გ) საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის – ბალანსები, ფიზიკური პირისათვის – დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი და ფონდებისადმი დავალიანების შესახებ.

5. პირველადი სატენდერო წინადადება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) იურიდიული ან ფიზიკური პირის სრული დასახელება, რეკვიზიტებისა და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.

ბ) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

6. საკვალიფიკაციო შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება დაინტერესებული პირის გამოცდილებას ანალოგიური სახის მომსახურების შესრულებაზე.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ (იმ ვადებში, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია დამატებით შეუთანხმებს) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 380002, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის – კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონები: 91-01-39; 899-90-75-82.**

**სატენდერო კომისია.**

# გიწვევთ კონკურსზე!

## ქ. ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის განკარგვის (საკუთრებაში გაცემის) საკონკურსო პირობები

**შესავალი**

**ქალაქ ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქ.ბათუმის მთავრობის 2005 წლის 12 აპრილის №61 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.**

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქალაქის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ვახტანგ გორგასლის ქუჩა, სასამართლოს მიმდებარე ტერიტორია;

მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2900 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 14,04 ლარი, სულ 40716 ლარი;

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობაა პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართის ნაწილის ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადაცემის ვალდებულება.

**სხვა პირობები:**

მიწის ნაკვეთის გასაყიდი ფასი ყველა მონაწილისათვის ფიქსირებულია და შეადგენს ცენტრალური ზონის მეორე ქვეზონისათვის დადგენილ მინიმუმს, ანუ 40716 ლარს;

მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს საკონკურსო ნაკვეთის 65%-ზე, ანუ 1885 კვ.მ-ზე მეტი;

სართულიანობა დასაშვებია განისაზღვროს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად; პირველი (მიწისპირა) სართული არ უნდა იყოს საცხოვრებელი დანიშნულების.

ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადასაცემი ფართის ოდენობამ უნდა შეადგინოს საკონკურსო ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის საერთო ფართის მინიმუმ 15%, ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2005 წლის 21 იანვრის №6-1 გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 1500 კვადრატული მეტრისა.

ვადა კონკურსის შედეგების შეჯამებიდან შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად მზადყოფნამდე არ უნდა აჭარბებდეს 30 თვეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადასაცემი ბინები იყოს „გასაღების ქვეშ" მზადყოფნის მდგომარეობაში.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი ობიექტის შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი, მოცულობითი და ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლების შესახებ.

პრეტენდენტებმა აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან მინიმალური 100 000 დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ იგი დაიტვირთოს იპოთეკით ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ, აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა „ბე"-ს სახით, მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს აუცილებელი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით, ანუ 2036 ლარი. კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) ხუთი დღის ვადაში.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართიდან ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის კონკურსში მონაწილეთა მხრიდან მეტი ოდენობის ფართის შემოთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს ქალაქის საკრებულოს მიერ შუალედური ზონისათვის დადგენილ 15%-ზე ნაკლები.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. სულხან-საბა ორბელიანის ქ. №7. ტელ: 7-26-45.

**განაცხადების მიღება შეწყდება 2005 წლის 13 მაისს 17 სთ-ზე.**

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2005 წლის 23 მაისამდე.**

**კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა „ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:**
**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები – ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიში № 000142402.**

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი

# აცხადებს ტენდერს

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2001 წლის 15 ოქტომბრის № 1 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნების შესაბამისად ცხადდება ღია ტენდერი შემდეგზე:

1. თურქულის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად:

თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინები;

– ორვალენტიანი („ა", „ო" ტიპის) ვაქცინის 1 320 000 დოზის შეძენაზე.

2. ჯილეხის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად:

– ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის 2 230 000 დოზის შეძენაზე;

– საპრეციპიტაციო შრატის (ასკოლის რეაქციისათვის) – 10 ლიტრის შეძენაზე.

3. ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად:

– ხორცისმჭამელთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის 170 000 დოზის შეძენაზე.

– გარეული ცხოველების ცოფის საწინააღმდეგო ორალური ვაქცინის 50 000 დოზის შეძენაზე;

– ცოფის სადიაგნოსტიკო ფლუორესცირებული გლობულინის – 4 ნაკრების შეძენაზე (თითო ნაკრები არანაკლებ 80 სინჯისა);

4. ბრუცელოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად;

– ბრუცელოზის როზ-ბენგალის რეაქციის (5 ლიტრი) და რაიტის ერთიანი ანტიგენის (5 ლიტრი) შეძენაზე.

ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევის წესი განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

ა) განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ;

ბ) სასამართლოში რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, სადაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მას აქვს ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია (ვეტპრეპარატების ადგილობრივი მწარმოებლებისათვის);

გ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან იმის შესახებ, რომ მის ქონებას არა აქვს დადებული ყადაღა;

დ) ცნობა სასამართლოდან (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით) იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ე) ცნობა შსს ინფორმატიზაციის სამმართველოდან იმის შესახებ, რომ ტენდერში მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი (ან ხელმძღვანელები) და ფიზიკური პირი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ვ) ცნობა ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციიდან იმის შესახებ, რომ მას ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება;

ზ) ცნობა ტენდერში მონაწილე პირის (ხელმძღვანელის) ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

თ) ცნობა იმის შესახებ, რომ ტენდერში მონაწილე პირს უფლება აქვს წარმოადგინოს მისი ორგანიზაციის ინტერესები და დადოს ხელშეკრულებები.

ტენდერში მონაწილე პირი საკვალიფიკაციო შეფასებას გაივლის და გამოცხადდება პრეტენდენტად, თუ იგი წარმოადგენს და აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აღმოჩნდება ყალბი.

პრეტენდენტებს – 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მიიღონ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია 2005 წლის 6-დან 12 მაისის 15 სთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, 380077, თამარაშვილის 15 ა, მესამე სართული, ვეტერინარიის დეპარტამენტი.

შესასყიდი საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს DDP პირობებით სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა, ვეტერინარიის დეპარტამენტი.

საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, რომელსაც უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანი დალუქული კონვერტით 2005 წლის 3 მაისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა, ვეტერინარიის დეპარტამენტი, ტელ: 39-21-32; ფაქსი: 39-41-20.

ალტერნატიული წინადადებები არ მიიღება და არ განიხილება.

ტენდერის შედეგად დასაშვებია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო მოსაკრებელი ჩარიცხული უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიში 000141408.

მიმღები: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი.

საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050

დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი 1634.

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი პირიდან: ლემნა ხელაია (სატენდერო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი). ტელ: 39-21-32; მობ: 8 99 55-61-52.**

**2005 წლის 6 მაისს 14 სთ-ზე შედგება სს „ჰიდრომშენებელის" აქციონერთა საერთო კრება.**

**მისამართი: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. № 20. სს „ჰიდრომშენებელი".**

**დღის წესრიგი:**

1) სააქციო საზოგადოება „ჰიდრომშენებელის" ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

2) სალიკვიდაციო კომისიის შექმნა.

**აქციონერებს გთხოვთ, დაესწროთ კრებას.**

**სს „ჰიდრომშენებელის" სამეთვალყურეო საბჭო.**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ბიოქიმფარმი" აცხადებს, რომ ა.წ. 23 მაისს ჩატარდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. № 3. სააღრიცხვო თარიღი არის 2005 წ. 22 აპრილი.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. სს „ბიოქიმფარმის" წლიური ანგარიში;
2. სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიში;
3. წინადადებები წმინდა მოგების განაწილების შესახებ;
4. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;
5. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
6. აუდიტორის არჩევა.

## სს „სპეცმონოლითის" აქციონერებს

2005 წლის 4 მაისს 14 სთ-ზე შედგება ჩვენი საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. № 57. IV სართული.

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის ანგარიშის განხილვა.

აქციონერებს გთხოვთ, დაესწროთ კრებას.

**სს „სპეცმონოლითის" სამეთვალყურეო საბჭო.**

# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს შპს „საქართველოს რკინიგზის" „მგზავრთა გადაყვანის" ფილიალის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად.**

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. წერილობითი მოსაზრებები დარგის განვითარებისა და არსებული პრობლემების დაძლევის შესახებ (არაუმეტეს 2 გვერდი);
2. უმაღლესი განათლება (სასურველია რკინიგზის ტრანსპორტის, სახელმწიფო მართვის ან მენეჯმენტის სპეციალობა);
3. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წელი;
4. სასურველია ჰქონდეს რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის გამოცდილება;
5. სასურველია უცხო ენების ფლობა (რუსული, ინგლისური).

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. 2 ფოტოსურათი;
3. განათლების მოწმობის ასლი (სერტიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით:
4. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
5. განაცხადი თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში მოსალოდნელ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

**განაცხადები მიიღება 2005 წლის 22 აპრილის 18 საათამდე ყოველდღიურად, 10-დან-18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე: თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, შპს „საქართველოს რკინიგზა", ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, II სართული, ტელ: 56-34-08; 56-34-48; 56-46-79. ელ-ფოსტა: kadrebi@railway.ge.**

**შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციას"** სურვილი აქვს შეიძინოს ბულდოზერი (სიმძლავრე — 130 და მეტი ცხენის ძალა) ყველა ფუნქციით კარგ მდგომარეობაში. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: 65-00-03 (10-დან 5 საათამდე) ან 8 99 17-33-16. **საკონტაქტო პირი — მიშა.**

**2005 წლის 5 მაისს 14 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „ცენტრალური სუპერმარკეტის" აქციონერთა მორიგი საერთო კრება – ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 135.**

შესაბამისი დადგენილების პროექტებს და დასახელებულ საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს შეგიძლიათ გაეცნოთ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში.

აქციონერთა სააღრიცხვო დღე დადგენილია 2005 წლის 25 აპრილიდან.

**სააქციო საზოგადოება „ცენტრალური სუპერმარკეტის" სამეთვალყურეო საბჭო.**

# განცხადება ღია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. სსიპ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“** (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი № 144) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს „სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამის“ საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალი:**

2.1. სატელევიზიო სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დამზადება და გავრცელება;

2.2. პოლიგრაფიული სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის დიზაინის შემუშავება;

2.3. პოლიგრაფიული სარეკლამო და საინფორმაციო პროდუქციის გავრცელება;

2.4. საიდენტიფიკაციო აქსესუარების დიზაინის შემუშავება და გავრცელება;

2.5. პუბლიკაციების მომზადება და განთავსება ბეჭდვით მედიაში;

2.6. გარე რეკლამის საშუალებების დიზაინის შემუშავება და გავრცელება;

2.7. რადიო რეკლამისა და საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება;

2.8. სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება.

**3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები – 2005 წლის მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 მაისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი № 144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;

ბ) საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

გ) მსგავს პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები;

ე) პროექტში მონაწილე კადრების კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ვ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება;

ზ) სატენდერო წინადადებების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

7. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში, ღირებულების გარეშე.

10. ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი კონცეფცია, რომლის თანახმადაც დღეისათვის არსებული კატეგორიებად დაყოფილი საოჯახო დახმარებების სისტემა, პირველყოვლისა მიმართული იქნება უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახებისაკენ. სოციალურად დაუცველ ოჯახთა იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირებისათვის საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის დროული და სწორი ინფორმირება, რათა განხორციელდეს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შეუფერხებელი აღრიცხვა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი რეიტინგის განსაზღვრა.

*პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს პრეტენდენტის ხედვას:*

- *ზემოაღნიშნული პროგრამის საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის განხორციელების გზების შესახებ;*
- *შესასყიდი მომსახურების ჩამონათვალში (პუნქტი 2) მოცემული შესასრულებელი სამუშაოს განხორციელების საშუალებების შესახებ;*

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13. ტენდერის I ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

14. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის თარიღი პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი № 144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

15. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

16. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი № 144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

ტელ: 698485. E-mail: saesa gov@ yahoo.com.


◎ რევაზ ძოძუაშვილი – 60

# კაცი, რომელმაც ბესტი „ჩაკეტა“

**ეს** იყო 35 წლის წინათ: საბჭოთა კავშირის ნაკრები ბელფასტში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნულ გუნდს ხვდებოდა. დიდბრიტანელთა სპორტულ ღირსებას მაშინ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ჯორჯ ბესტი იცავდა – ლაღი, თავისთავადი, რომანტიკოსი თავდამსხმელი, რომლის შეტევების უვნებელყოფა აღიარებულ მცველებსაც კი უჭირდათ. სწორედ, ამ ვარსკვლავბიჭუნას წინააღმდეგ თამაში საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა თბილისის დინამოელ რევაზ ძოძუაშვილს დაავალეს. სტაჟიან გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ, რომ ქართველმა მცველმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ მძიმე ამოცანას – საიმედოდ „ჩაკეტა“ ჩრდილოირლანდიელი თავდამსხმელი. მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა. მეტოქეებმა მაისურები გაცვალეს. მერე ძოძუაშვილი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა, ბესტის მაისურა კი – ქუთაისის სპორტულ მუზეუმში, სადაც დღემდე ინახება.

რევაზ ძოძუაშვილი ქუთაისში დაიბადა (1945 წლის 15 აპრილს) და გაიზარდა. აქ ეზიარა იგი ტყავის ბურთის საიდუმლოებებს. სპორტული კარიერა თავდამსხმელობით დაიწყო. ერთხელ უხუმრია კიდეც: „სპორტსკოლაში სწავლისას თავიდან ფორვარდი ვიყავი. ალბათ, ვერ დავაკმაყოფილე მწვრთნელის მოთხოვნები და ნახევარდაცვაში გადამიყვანეს, მერე დაცვაში გამამწესეს. ვიფიქრე, მალე მოედანსაც დამატოვებინებენ-მეთქი და მონდომებით შევუდექი ვარჯიშს“.

თავგამოდებამ და მუყაითობამ მალე შედეგიც გამოიღო. 19 წლის ჭაბუკი უკვე ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. ორი სეზონი იქ გაატარა (1964, 1966-67), ერთხანს სოხუმის „დინამოსაც“ (1965 წ.) შეაშველა ხელი, 1968 წელს კი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ქვეყნის უპირველეს გუნდში მას სახელოვანი მცველი ბორის სიჭინავა უნდა შეეცვალა. შეგუება არ გასჭირვებია – პირველი მატჩებიდანვე დაიმსახურა მწვრთნელთა და მაყურებელთა სიმპათია, ურყევად დაიმკვიდრა ადგილი გუნდში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში 301-ჯერ გამოვიდა მოედანზე, 5 გოლიც გაიტანა. ოთხგზის ბრინჯაოს მედალოსანია (1969, 1971-72, 1976 წ.წ.), 49-ჯერ ჩაიცვა საკავშირო ნაკრების მაისურა. მონაწილეობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ხოლო 1974 წელს – ანალოგიური შეჯიბრების შესარჩევ ტურნირში.





რევაზ ძოძუაშვილის სპორტულ კარიერაში ყველაზე გამორჩეული მაინც 1972 წელია. სწორედ მაშინ დაიმსახურა მან ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, მიუნხენში ზაფხულის XX ოლიმპიურ თამაშებზე მურთაზ ხურცილავასთან ერთად კი „ბრინჯაო“ ერგო.

აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, რევაზ ძოძუაშვილმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და აქაც ისახელა თავი (ცოტა ხნით მსაჯის ამპლუაშიც სცადა ბედი). წვრთნიდა თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“, ქუთაისის „ტორპედოს“, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, რიგის „სკონტოს“ და ლატვიის ეროვნულ ნაკრებს, რომელსაც დიდი წარმატებები მოუტანა, ვლადიკავკაზის „ალანიას“. რამდენიმე დღის წინათ „მიხიჩა“, როგორც მას სიყვარულით ეძახიან ახლობლები, რიგის „სკონტოს“ ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა... სხვათა შორის, მისი ღვაწლი ყველაზე უკეთ ჯერჯერობით სწორედ ბალტიისპირელებმა დააფასეს.

სახელოვან ფეხბურთელსა და მწვრთნელს, ამაგდარ პიროვნებას – რევაზ ძოძუაშვილს დღეს დაბადებიდან 60 წელი უსრულდება.

ჩვენი გაზეთის რედაქციისა და მკითხველთა სახელით ბატონ რევაზს იუბილეს ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: „მიხიჩა“ მსაჯის ამპლუაში; უტევს რევაზ ძოძუაშვილი.**

**კონსტანტინე შანიძის ფოტოარქივიდან.**

## სალაღობო იუბილარს

*გვახსოვს შეტევა „ლევიდან“,*
*შენი დახვედრა „ჯრავიდან“,*
*ბესტი რომ ვერსად გევიდა,*
*ლამის მინდვრიდან გავიდა.*
*აღმზრდელი მთელი თაობის,*
*„მიხიჩ“, ფასდები ათასად,*
*და თავს გვახსენებს ხშირ-ხშირად*
*ერთი ქართული ანდაზა, —*
*თურაშაულის ჰატრონნი*
*ტეეში დავეძებთ ჰანტასა.*

*ვილენ მარდალეიშვილი.*

◎ ჩემპიონთა ლიგა

# 17 წლის შემდეგ

**1988 წელს გუუს ჰიდინკმა „ეინდჰოვენს“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა. ჰოლანდიელ მწვრთნელს წარმატებები არც შემდეგ დაჰკლებია – მაგალითად, უკანასკნელ „მუნდიალზე“ კორეელები არნახულად აღაზევა, „ძველ სამყაროში“ დაბრუნება კი მორიგი მიღწევით აღნიშნა. „ფილიპსის“ კლუბი ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალშია.**

პირველი რაუნდის მსგავსად, მასპინძლები ამჯერადაც დებიუტშივე აღმოჩნდნენ მდევრის როლში – ბოუმას მიერ უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ვილტორდი დაეუფლა და გომესს აუღებელი დაურტყა – 1:0. „ლიონი“ შემდგომშიც ღირსეულად გამოიყურებოდა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში აბიდალის დაშვებული შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდა – ალექსმა ყუმბარისებური გასროლით საქმე პენალტებამდე მიიყვანა (შეგახსენებთ, რომ მეტოქეებმა ერთი კვირის წინათაც 1:1 ითამაშეს), სადაც ფრანგებს – ესიენსა და აბიდალს ნერვებმა უმტყუნეს – 4:2.

ვერ გაამართლა გულშემატკივართა ვარაუდი „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ საპასუხო მეოთხედფინალურმა მატჩმა. ვერ გეტყვით, ეს საკადრო პრობლემების ბრალია (მაგალითად, მასპინძლებს ტრეზეგე აკლდათ, ინგლისელებს კი ერთბაშად ჯერარდი, ჰამანი და კიუელი), თუ მწვრთნელთა ტაქტიკური მონახაზის ნაყოფი, მაგრამ საათნახევრის განმავლობაში რომ სულ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა (იბრაჰიმოვიჩი, კანავარო; ბაროში), ფაქტია, მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება კი ხელს სტუმრებს აძლევდა. შედეგად 27 აპრილსა და 4 მაისს ქომაგს ბრიტანული წყვილის – „ჩელსი“ – „ლივერპული“ ოსტატობით ტკბობა მოუწევს, „მილანი“ და „ეინდჰოვენი“ კი ერთმანეთს 26 აპრილსა და 3 მაისს შეებმებიან.



**გია პლატონიშვილი.**

◎ საუნივერსიტეტო

# „შავი ზღვა“, „გაენათი“ და სხვა

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ეგიდით გაიმართა კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მეორე რესპუბლიკური თამაშები.** შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტები – „აჭარა“ და „გაენათი“, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ხარისხის მართვისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტები. საერთო გუნდური პირველი ადგილი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტმა (რექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი) დაიკავა. მეორე იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მესამე ადგილი „გაენათს“ ხვდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

**ლევან ანჩაბაძე,**

**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პრესმდივანი, დოცენტი.**


# შეტყობინება

**სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის“ დირექტორატი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2005 წლის 11 მაისს, დღის 16 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. № 140.**

**სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 7 აპრილი.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის წლიური ანგარიში**

**(წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად);**

**2. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;**

**3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;**

**4. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;**

**5. სააქციო საზოგადოების სახელწოდების შეცვლა;**

**6. არჩევნები:**

**ა) სამეთვალყურეო საბჭოს;**

**ბ) რეგისტრატორის;**

**გ) აუდიტის.**

**7. სხვადასხვა.**

**დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის“ დირექტორატში (მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. № 140, ტელ: 94-35-67), ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.**

**აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის 24, ტელ: 22-53-51 პირადობის მოწმობის საფუძველზე.**

**სს „საწარმოო გაერთიანება მაუდის“ დირექცია.**
**სამეთვალყურეო საბჭო.**

# შეტყობინება

## (სს „ტელენეტის“ მუშაკთა საყურადღებოდ)

**სს „ტელენეტის“** პროფკომიტეტი (პროფკავშირი) და სს „ტელენეტი“ ატყობინებენ სს „ტელენეტის“ მუშაკებს, რომ კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად მიმდინარეობს კოლექტიური მოლაპარაკება სს „ტელენეტის“ პროფკომიტეტსა (პროფკავშირსა) და სს „ტელენეტს“ შორის. კოლექტიური ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით მხარეთა წარმომადგენელთაგან – სს „ტელენეტის“ მუშაკთაგან (სს „ტელენეტის“ პროფკავშირის წევრთაგან) შექმნილია შესაბამისი სამუშაო კომისია. სს „ტელენეტის“ მუშაკებს სურვილის შემთხვევაში სს „ტელენეტის“ პროფკომიტეტის (პროფკავშირის) (მისამართი: საქართველო, 0108 ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 31) ან/და სს „ტელენეტის“ მეშვეობით (მისამართი: საქართველო, 0108 ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 31) შეუძლიათ წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები სამუშაო კომისიას.

**სს „ტელენეტის“ პროფკომიტეტის (პროფკავშირის) თავმჯდომარე ვენერა მახათაძე,**

**სს „ტელენეტის“ გენერალური დირექტორი ანდრია აბაშიძე.**

**2005 წლის 15 აპრილი.**

**სს „ხრამის“** დირექცია აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 5 მაისს, 12 სთ-ზე, მარნეულის რაიონის სოფელ იმირში სს „ხრამის“ ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1) 2004 წლის ანგარიში;
2) ცვლილებები წესდებაში;
3) სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.

**სს „ხრამის“ დირექცია.**

**2005 წლის 19 აპრილს** განმეორებით გაიმართება საჯარო ვაჭრობა სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ კუთვნილი 140 ტონა ღვინის მარაგის რეალიზაციის მიზნით. ღვინო დამზადებულია გურჯაანის რაიონის, სოფ. კარდანახში მდებარე ღვინის ქარხანაში, 2001 წლის ყურძნის მოსავლისაგან.

საჯარო ვაჭრობის პირობებისა და ღვინის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონზე: 98-50-10, შიდა ნომერი 111.

საკონტაქტო პირი: სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ლიკვიდატორი გიორგი გომარელი.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტერმინალ პორტი დიდუბეს“** დირექტორი იწვევს პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1. დირექტორის გათავისუფლება;
2. ახალი დირექტორის დანიშვნა.

კრება ჩატარდება 2005 წლის 27 აპრილს, დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. № 32, შპს „საბი“-ის ოფისში.

პარტნიორებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ.

**სს „მძლეოსნობის კომპლექსის“** აქციონერთა საყურადღებოდ: 2005 წლის 12 მაისს, 12 საათზე გაიმართება ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება. (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ბ).

დღის წესრიგი:

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. აუდიტის არჩევა;
4. სხვადასხვა.

დასწრება სავალდებულოა.

# ინფორმაცია

**„2005 წლის 1 აპრილს** ხელშეკრულებები გაფორმდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელ შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებზე: „რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის უფასო სასადილოს ორგანიზება“; „კრწანისის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა“; „მთაწმინდის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა“, „კრწანისის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაცია“, „მთაწმინდის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაცია“, „შადრევნების აღდგენა და ექსპლუატაცია“, „კრწანისის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება“, მთაწმინდის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება“.


◎ სპორტულ ორბიტაზე

## ძიუდოს „ელიტაში“



**ბუდაპეშტში ძიუდოს ევროპის კავშირის შტაბ-ბინამ გამოაქვეყნა პლანეტის უძლიერესი ძიუდოისტების რეიტინგი, რომლის შედგენისას გაითვალისწინა ყოველი წონითი კატეგორიისთვის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე და 2005 წლის მსოფლიო სუპერთასსა და თასზე მოპოვებული შედეგები. საბედნიეროდ, ძიუდოისტთა ამ მსოფლიო „ნაღებში“ ქართველი ათლეტებიც არიან.**

310 ქულით, რაც „ელიტის“ სხვა არც ერთ სარჩელს არა აქვს, 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში პირველ ადგილზეა ჩვენებური ზურაბ ზვიადაური: 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში 210 ქულით მეორეა ნესტორ ხერგიანი, ხოლო მესამე – ვახტანგ ხოსიტაშვილი (150).

აღსანიშნავია, რომ დანარჩენი „ელიტოსნებიდან“ 250 ქულაზე მეტი არავის დაუგროვებია.

## წიგნი ზვიგენისგან მოჭმულ ხელზე

**ეს იყო 2003 წლის 31 ოქტომბერს. 13 წლის ბენჯამინ ჰამილტონი სერფინგით ტალღებზე დაქროდა. იმ დროს ის ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ სერფინგისტად ითვლებოდა, ის ჰავაიზე მეგობრებთან ერთად სავარჯიშოდ ჩავიდა. უცებ მან თავისი ფიცრის ქვეშ რაღაც მუქი და უზარმაზარი რაღაც დაინახა. ის ხუთმეტრიანი ვეფხისებური ზვიგენი აღმოჩნდა, რომელიც გოგონას თავს დაესხა. ზღვა წითლად შეიღება. ზვიგენმა სპორტსმენ გოგონას მარცხენა ხელი მოაჭამა. ის მხოლოდ ნავებით ამხანაგების მიშველებამ გადაარჩინა.**

ასეთმა თავდასხმამ შესაძლოა საშინელი კვალი დატოვოს ნებისმიერი ადამიანის სულში, მაგრამ მაცი გოგონა უკვე სამიოდე კვირის შემდეგ ისევ სერფინგზე იდგა. „ეს დაუვიწყარი სიამოვნებაა, ჩემი სიცოცხლეა – ვერავითარი ზვიგენი ვერ მათქმევინებს ტალღების დამორჩილებაზე უარს“.



მომავალში, უკვე 15 წლის სპორტსმენი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გამგზავრებას აპირებს, „მინდა დავეხმარო ცუნამისგან დაზარალებულ ბავშვებს ოკეანისადმი შიშის დათრგუნვაში“, – თქვა ჰამილტონმა.

თავისი საშინელი თავგადასავალი კი მან ახლახან გამოსულ წიგნში აღწერა.

## გარდაიცვალა პატარა ლულუ

**მოფერებით ასე ეძახდნენ გულშემატკივრები ფრანგ ფეხბურთელს ლიუსენ ლორანს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა. იგი ახლა 97 წლის იყო.**

ლორანმა ეს გოლი 1930 წლის 13 ივლისს გაიტანა საფრანგეთ-მექსიკის მატჩის მე-19 წუთზე. „მაშინ მე არც კი მიფიქრია, რომ მსოფლიო პირველობების ისტორიაში პირველი გოლი გამქონდა, – თქვა ერთხელ ლორანმა ჟურნალისტისთვის „France Football“ მოცემულ ინტერვიუში, – როდესაც მეტოქის კარი ავიღე, მე აბსოლუტურად ბედნიერად ვიგრძენი თავი“.

პატარა ლულუმ საფრანგეთის ნაკრებში 10 მატჩი გამართა და ორი ბურთი გაიტანა.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორეკურსელების ერთი ჯგუფი. 1951 წელი.

მოგვაწოდა გურამ ლორთქიფანიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ⊙ პრეზენტაცია

# თუ ფულის სარფიანად დაბანდება გსურთ...

## კორპორატიული ობლიგაციები მნიშვნელოვანი სიახლეა

**ამ დღეებში არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია „არსის" გალერეაში გაიმართა უძრავი ქონების ბაზარზე პირველი კორპორატიული ობლიგაციების ემისიის ხელმოწერის პრეზენტაცია. ობლიგაციების ემისია კომპანია „არსის" და სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის" ერთობლივი პროექტი და უძრავი ქონების ბაზარზე კორპორატიული ობლიგაციების გამოცემის პირველი ცდაა. იგი მნიშვნელოვანი სიახლეა უძრავი ქონების სფეროში და განსაკუთრებით უწყობს ხელს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, რომელიც დღეს, ჩვენში, სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობს.**

ემისიის საერთო მოცულობა, სავარაუდოდ, 800.000 აშშ დოლარი იქნება. ფასიანი ქაღალდის ვადიანობა ორ წლამდე განისაზღვრება, ყოველკვარტალური კუპონის გადახდით. გამოცემული ობლიგაციებით დაფინანსდება კომპანია „არსის" ახალი პროექტი – პრესტიჟული საცხოვრებელი სახლი თ. აბულაძის ქუჩაზე. ემისიის პროექტი პილოტურია, კომპანიის ხელმძღვანელობა ახალი ემისიების განხორციელებას სამომავლოდაც გეგმავს.

კომპანია „არსი" და სს „საქართველოს ბანკი" დაინტერესებულ პირებს სთავაზობენ ფულის დაბანდების მომგებიან და გარანტირებულ საშუალებას, რომლის წლიური შემოსავლიანობა საბანკო დეპოზიტთან შედარებით მაღალი იქნება. ობლიგაციების გარანტიას მთლიანად „საქართველოს ბანკი" უზრუნველყოფს, ხოლო „გალიტ ენდ თავგარტ სიქიურითის" წამყვანი საინვესტიციო ბანკი ობლიგაციების განთავსების აგენტი იქნება.



პრეზენტაციაზე კორპორატიული ობლიგაციების ემისიას ხელი მოაწერეს სს „საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ და კომპანია „არსის" აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე აბულაძემ.

ცნობილია, რომ არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია „არსი" 1989 წელს დაარსდა, – როგორც პირველი კერძო არქიტექტურული ფირმა და ამ მცირე დროის განმავლობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. 1992 წლიდან კომპანია „არსმა" ბინათმშენებლობა დაიწყო. წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით, სწორი ინვესტიციებისა და საბანკო ფინანსური მოდელების მეშვეობით „არსი" სტაბილურად ვითარდება და დღეს იგი ასრულებს ნებისმიერი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოების სრულ ციკლს, პროექტირებიდან ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემამდე.



კომპანია „არსი" მოღვაწეობს ორი მიმართულებით: არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი. კომპანიაში სულ 54 თანამშრომელია დასაქმებული.

„არსის" მიზანია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეუქმნას ღირსეული არქიტექტურული გარემო. ამჟამად იგი მიისწრაფის, გახდეს საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის საუკეთესო პარტნიორი ინვესტორისთვის. ამასთან, აქვს ამბიცია თბილისს ძველი არქიტექტურული სილამაზე დაუბრუნოს.

ცნობისათვის: კომპანია „არსი" არ გახლავთ სამშენებლო ფირმა, იგი გამოდის დამკვეთის როლში დაქირავებულ მშენებლებთან. „არსი" ახორციელებს სამშენებლო მენეჯმენტს, რაც გულისხმობს ტერიტორიის შეფასებას, ყიდვას და სამშენებლო პროცესის მონიტორინგს. მშენებლობის მონიტორინგს აწარმოებს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც კომპანიაშია შექმნილი და მშენებლობის მაღალი ხარისხის ასპროცენტიან გარანტიას იძლევა. „არსი" საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელიც თავის ბინებს ინდივიდუალურ შეფასებას აძლევს. სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, იგი თითოეულ ბინას მისი ლოკაციის მიხედვით განსაზღვრავს. კომპანიის 15-წლიანი გამოცდილება მომხმარებელს საშუალებას აძლევს ისეთ გარემოში იცხოვროს, სადაც იგი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნობს თავს.

„საქართველოს ბანკი" კი, დღეს ჩვენი ქვეყნის წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკმა 2004 წლის ოქტომბერში, ახალი მენეჯმენტის წყალობით, დამაჯერებელ წარმატებებს მიაღწია და ამის შესახებ არაერთხელ ვწერდით.

ამჟამადაც ბანკს დიდი მოგება აქვს. როგორც სს „საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, კონსოლიდირებული ნორმალიზებული წმინდა საოპერაციო მოგება, – ძირითადი პარამეტრი, – რომელსაც ჩვენ ცვლილებების ამ ეტაპზე ყურადღებას ვუთმობთ, 2005 წლის პირველ კვარტალში 5.2 მილიონ ლარს გაუტოლდა. წლიდან წლამდე მოგებამ 22,9 პროცენტი, ხოლო კვარტალურმა მატებამ 11,9 პროცენტი შეადგინა. წმინდა საოპერაციო მოგების ზრდა გამოწვეულია წმინდა საპროცენტო შემოსავლის წლიდან წლამდე 7,0 პროცენტული და არასაპროცენტო შემოსავლის წლიდან წლამდე 20,9 პროცენტული ზრდით.

წარმატებული კომპანიების „არსისა" და „საქართველოს ბანკის" ახალდაწყებული ურთიერთთანამშრომლობა, ვფიქრობთ, ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

**ლალი ქინქლაძე.**

**სურათებზე: კომპანია „არსის" პროექტის – თ. აბულაძის ქუჩის ფრაგმენტები.**

## ⊙ გიხაროდენ!

# ბოდბისხეველებს ერთი კომლიც მიემატა



დედოფლისწყაროს საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების გინეკოლოგიური განყოფილების შესასვლელთან მუდამ ხალხმრავლობაა. ახალი სიცოცხლის დაბადებისას მამები ქუდებს ცაში ისვრიან ხოლმე. წლეულს, აქ პირველ კვარტალში 57 ჯანსაღი ბავშვი დაიბადა, შვიდით მეტი, ვიდრე შარშან, პირველ კვარტალში.

– ჩვენთან მოსამშობიარებლად სიღნაღის რაიონიდანაც მოდიან, – მითხრა გინეკოლოგიური განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ალექსანდრე ჭაბაშვილმა, – აქ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი, ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორს ვანო ნატროშვილს, მის მოადგილეს გოგი კიკილაშვილს და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმს რეზო კოპალიანს. გუშინ ჩემი იქ ყოფნისას, თამარ მევლუფიშვილს სამი წლის ლოდინის შემდეგ პირველი შვილი შეეძინა – გიორგი. ნეტა გენახათ აქ მოსული ახლობლების სიხარული, – **დედოფლისწყაროდან დაგვიკავშირდა ტელეფონით ნანა ჩიჩინაძე.**

## ⊙ სულიერება

# 15 აპრილი წმიდა გიორგი მაწყვერელის ხსენების დღეა

წმიდა გიორგი აწყურის ეპისკოპოსი იყო. ცნობილ მწერალს და საეკლესიო მოღვაწეს კარგად იცნობდა მისი თანამედროვე საქართველო, თუმც მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ცნობები გიორგი მაწყვერელის შესახებ შემოგვინახეს გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის ნაწარმოებებმა.



გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოიხსენიებს ღირს გიორგი მაწყვერელს; ხოლო ბასილი ზარზმელის თქმით, გიორგი მაწყვერელი, სამცხის საეკლესიო ცხოვრების მეთაური, „აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას".

ღირსმა გიორგიმ აწყურის კათედრა დაიკავა სამცხის დიდი ფეოდალის, გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც ჩორჩანელთა გვარში და საერთოდ, მთელ სამცხეში დიდი მღელვარება, მტრობა და ძმათა კვლა იყო გაჩაღებული მისი მემკვიდრეობისა გამო.

ამ განუკითხაობის ჟამს ღირსმა გიორგი მაწყვერელმა „ხელთ იღვა განგებაი სამცხისაი" და „დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი".

ღირსი გიორგი მაწყვერელი გარდაიცვალა X საუკუნის პირველ მეოთხედში.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

## ⊙ ცოტაც გავიღიმოთ...



— **მამი**, რომელი უფრო შორსაა აქედან, მთვარე თუ თბილისი? — ეკითხება გვიან ღამით მიხოს უმცროსი ვაჟი.

— შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და ასეთი სულელური კითხვების დასმისა უნდა გრცხვენოდეს. აი, გაიხედე ფანჯრიდან და შეხედე ცას. რა ხედავ?

— მთვარეს.

— სწორია. თბილისს სადმე ხედავ?

— არა.

— ჰოდა, თვითონ გააკეთე დასკვნა.

* * *

**ექიმმა** ახალგაზრდა ლამაზ ქალს წამალი გამოუწერა:

— დალიეთ ორ-ორი აბი დაწოლის წინ...

— რას ამბობთ, ექიმო, მაშინ დღეში მინიმუმ ორმოცი აბის მიღება მომიწევს.

* * *

— **ანი** ეს წამალი სიცოცხლის ბოლომდე უნდა დალიოთ, — ეუბნება ექიმი ავადმყოფს.

— და სანამ მის სმას არ მივატოვებ, ვიცოცხლებ?

— არა. სანამ იცოცხლებთ, უნდა სვათ.

* * *

**სიახლე!** სახის სუპერკრემი! ის არა მხოლოდ ნაზსა და გლუვს გახდის თქვენს კანს, არამედ შურის ღრმა ნაოჭებსაც გააჩენს თქვენი დაქალების სახეზე!

* * *

**ნაღდი** ებრაელი თვეში ათას დოლარს გამოიმუშავებს, ორი ათასს ცოლს აძლევს, დარჩენილი სამი ათასით კი თვითონ სარგებლობს.

* * *

— **იმ** კუთხის მაგიდაზე უკვე მთელი საათია, ის ტიპი წევს და სძინავს, რატომ არ გააგდებ? — საყვედურობს რესტორნის მეპატრონე ოფიციანტს.

— რატომ გავაგდო, ყოველ ათ წუთში ვაღვიძებ, ის კიდევ ანგარიშს ითხოვს და იხდის.

* * *

— **ექიმო**, ღვიძლი მტკივა.

— ოდეკოლონს სვამთ?

— ვსვამ, მაგრამ არ მშველის.

* * *

— **ამხანაგო** მილიციელო, თქვენს თვალწინ სათითურებს თამაშობენ, თქვენ კი თითქოს ვერც ამჩნევთ.

— სულელები სხვაგან ეძებეთ. მეყო, გუშინ მათთან ათასი რუბლი წავაგე.

* * *

— **მიხო**, როგორ მოხდა, რომ ასე დროულად მოხვედი დღეს სამსახურში?

— არა უშავს, საღამოს ადრე წავალ.



პროკრუსტეს სარეცელი – ავაზაკ დამასტორისის (იგივე პროკრუსტეს) სარეცელი, რომელზეც იგი მსხვერპლს აწვენდა. თუ შეპყრობილი ლოგინის სიგრძეზე მეტი აღმოჩნდებოდა, ზედმეტ ნაწილს წააჭრიდა, ხოლო მოკლეს გაჭიმავდა და ლოგინის სიგრძეს გაუთანაბრებდა.

* * *

**ინდონეზიის** ნაციონალურ პარკში ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე გრძელი გველი, მისი სიგრძე 14,85 მეტრია და გინესის რეკორდების წიგნშია შეყვანილი.

**მთვარე** – ისევე, როგორც მზე, თითქმის ყველა ხალხის წარმოდგენაში ღვთაებრივადაა მიჩნეული. ბერძნები ქალად მიიჩნევდნენ და სელენეს ეძახიან, რომაელები კი – ლუნას. ეგვიპტელთა და სხვა ხალხების წარმოდგენაში მთვარე, მამაკაცია. ქართული წარმოდგენითაც, მთვარე მამაკაცია.

* * *

**ფეხბურთში** ყვითელი და წითელი ბარათები 1966 წელს შემოიღეს ინგლისში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე.

## ხსოვნა

# იური ქართველიშვილი



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გ. ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი **იური მარკოზის ძე ქართველიშვილი.**

დაიბადა 1934 წელს. 1956 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1957-1962 წლებში მუშაობდა მოსკოვში, სადაც გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1962 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ განყოფილების და 1980 წლიდან დღემდე ფხვნილოვანი მეტალურგიის, კომპოზიციური მასალების, ფხვნილოვანი დანაფარების სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად.

ი. ქართველიშვილი მაღალი რანგის მეცნიერ-მკვლევარი იყო. მან შექმნა ახალი მიმართულება მეტალურგიაში – ლითონებისა და მათი შენადნობების ქლორირების მეთოდით მიღება. მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია ქრომის, მანგანუმის, ნიკელის, ალუმინის, მათი შენადნობების, ლითონ-კერამიკული და კომპოზიციური ფხვნილების მიღებისა და მათგან ნაკეთობების დამზადების ორმოცამდე ტექნოლოგია, რომელთაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ბევრი მათგანი წარმატებით ჩაინერგა ყოფილი საბჭოთა კავშირის წამყვან მეტალურგიულ და მანქანათმშენებლობის ქარხნებში. აღნიშნული სამუშაოები აისახა მის სადოქტორო დისერტაციაში (1996 წ.), ორასამდე სამეცნიერო ნაშრომში, მათ შორის ორ მონოგრაფიაში; მეტი წილი ამ სამუშაოებისა დაცულია პატენტებით. მისი ხელმძღვანელობით დაცული იყო ათამდე საკანდიდატო დისერტაცია.

ი. ქართველიშვილის მიერ ჩატარებული კვლევებით მიღებულმა პრაქტიკულმა და თეორიულმა შედეგებმა მეცნიერ-მეტალურგთა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი იყო რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს წევრი; საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ი. ქართველიშვილი გატაცებული იყო სპორტით. იგი გახლავთ საქართველოსა და ამიერკავკასიის მრავალგზის ჩემპიონი ძალოსნობაში, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადების პრიზიორი.

ი. ქართველიშვილი გამოირჩეოდა მაღალი შინაგანი კულტურით, თბილი და გულისხმიერი დამოკიდებულებით ახლობლებისა და კოლეგების მიმართ, თავისი ქვეყნის უდიდესი სიყვარულით.

ი. ქართველიშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული საზოგადოებისა და მეტალურგიული მეცნიერებისათვის. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება;**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი.**



შვილები შოთა, ჯემალ, შვილიშვილები ალეკო, ლევან, ჯაბა, მიშიკო, შვილთაშვილები სანდრო, მარიამ, რძლები ნელი რეხვიაშვილი, თამარ რამიშვილი, მაიკო მაჭარაშვილი, თათია ძაგნიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა (ანეტა) ოქროპირიძე

პანაშვიდი 15,16 IV, 15 სთ. გამოსვენება 17 IV, 14 სთ. მისამართი: სოფელი გლდანი, ყაზბეგის №18ა. სამარშრუტო ტაქსი – „სოფ. გლდანი" (მეტრო „ახმეტელიდან").

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ჯემალ კასრაძეს დედის

ანა ოქროპირიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ფხვნილთა მეტალურგიის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცენტრის ხელმძღვანელის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

იური ქართველიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

60-იანი წლების მოსკოველი ასპირანტები მინდია სალუქვაძე, გივი ცინცაძე, პეტრე მერაბიშვილი, ზურაბ ქომეთიანი, გურამ ცერცვაძე, ნოდარ ნანობაშვილი, დავით ბაშალეიშვილი, ვლადიმერ გაბისონია, ლუიზა შაფაქიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, გამორჩეული პიროვნების

იური ქართველიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და სანათესაოს.

დაკრძალვა 17 IV, 16 სთ. ირაკლი აბაშიძის 42.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი

იური ქართველიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ქალბატონ იზოლდა აბაშიძეს მეუღლის

იური ქართველიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ აბულაძე, ილო ბარათაშვილი, ანზორ ვარაზაშვილი, ბაუ იაკობაშვილი, კლარა ლეკვეიშვილი, ბექარ მირიანაშვილი, ვახტანგ მოსიაშვილი, გურამ ნაკაიძე, გურამ ქაშაკაშვილი, გურამ ღოღობერიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაჯგუფელის

იური ქართველიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

იური ქართველიშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

## ⊙ გაზეთი და მკითხველი

# „საქართველოს რესპუბლიკა" მოისაკლისეს

დედაქალაქის წინანდლის ქუჩაზე პლანეტა „ფორტეს" ჯიხური მეტრო „300 არაგველის" გვერდით დგას. იგი სავსეა ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთებით. გუშინ ამ ჯიხურის დახლზე „საქართველოს რესპუბლიკა" ორად-ორი შევნიშნე.

– მეტს არ ვიღებ. ამ ორსაც თავისი მყიდველი ჰყავს. გაუყიდავი არ მრჩება, ყოველთვის ერთი და იგივე პიროვნებები ყიდულობენ (გვარები არ იცოდა, არ მიკითხავსო). ერთი აქვე ახლოს მდებარე, თბილისის პირველი საავადმყოფოდანაა, მეორეც, რომელიღაც დაწესებულებაში მუშაობს.

ჯიხურთან ჩავლილები ხშირად კითხულობენ „საქართველოს რესპუბლიკას". ზოგს წერილი აინტერესებს, ზოგს ტენდერი, ზოგსაც კიდევ განცხადება და ა.შ. მეტი რაოდენობით რომ მქონდეს, ვიცი გაიყიდება. აქამდე არ ვიცოდი, თუ გაუყიდავ ამ გაზეთს უკან იბრუნებდნენ... ესეც არ იყოს, „საქართველოს რესპუბლიკაზე" მოთხოვნა არის, ამიტომ მეტს გამოვიწერ, – მითხრა გაზეთის გამყიდველმა ლელა ნინიაშვილმა, რომელსაც სულ სამი თვეა, რაც პლანეტა „ფორტეში" დაუწყია მუშაობა.

**ნათელა ფაილოძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქოგულია.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK